ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

გზამკვლევი

სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის

ჩემი უფლებები

გზამკვლევზე მუშაობდა
ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი

არჩილ კაიკაციშვილი
სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი

მარიკა არევაძე
რედაქტორი

სამუშაო ჯგუფი:

არჩილ კაიკაციშვილი
მარიკა არევაძე
ჯაბა სირაბიძე
ანა კიკნაძე
ლევან ბერაძე
ნინო ისაკაძე
მარიამ ნეფარიძე
სოფიო ლეჟავა

გამოცემის დიზაინი:
რობი გეთიაშვილი

კვლევა მომზადდა ორგანიზაციის პროექტის: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ ფარგლებში.
თბილისი, 2013 წ.

© ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

შინაარსი[1]

წინათქმა …… 3

სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები …….....…….…….. 7

ადმინისტრაციულ–სამართლებრივი ურთიერთობები …….....…… 13

სისხლის–სამართლებრივი ურთიერთობები …..... 16

საოჯახო–სამართლებრივი ურთიერთობები …….....…….. 21

მემკვიდრეობასთან დაკავშრებული საკითხები …….....…….. 26

შრომითი ურთიერთობები …….....…… 30

საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები …….....…… 33

სახელშეკრულებო ურთიერთობები …….....…… 37

საარჩევნო უფლებები ..…….. 41

საერთო სასამართლოები და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები ……. 43

ურთიერთობა საქართველოს პარლამენტთან; საქართველოს სახალხო დამცველთან ……. 47

გადასახადები, საშემოსავლო გადასახადის გადახდისგან გათავისუფლების საფუძვლები ... 49

„დაუბეგრავი მინიმუმი“ …….....…. 55

საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების საკონტაქტო ინფორმაცია …..... 56

წყარო …….....…….. 58

[1] გზამკვლევის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

წინათქმა

წარმოდგენილი გზამკვლევი, ახალგაზრდული არასამთავრობო უფლებადაცვითი ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მხრიდან, სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის, პირველ ნამუშევარს წარმაოდგენს, რომელიც ორგანიზაციის სამართლის ჯგუფის აქტიური მონაწილეობით შედგა. მნიშვნელოვანია, მოქალაქეები სათანადოდ ერკვეოდნენ იურიდიულ/სამართლებრივ საკითხებში, ჰქონდეთ შესაბამისი წარმოდგენა კერძო და საჯარო პირებთან ურთიერთობის დროს და შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობებში შეეძლოთ თანმდევი რისკებისა და გამოწვევების შეფასება. ორგანიზაციამ გზამკვლევის შექმნის გადაწყვეტილება არაერთი მოქალაქის ადვოკატირების პრაქტიკიდან გამომდინარე მიიღო და მოიცვა თემები, რომელიც იურიდიული კონსულტაციების განხორციელების პროცესში, აქტუალურ საკითხებად გამოიკვეთა. გზამკვლევში წარმოდგენილია საკითხები სამოქალაქო უფლებების, ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი, საოჯახო, შრომის სამართლის, საკუთრების უფლების, სახელშეკრულებო, საარჩევნო სამართლის შესახებ. ამასთან, ცალკე ყურადღება ეთმობა სახელმწიფო ორგანოებთან/ინსტიტუციებთან, სასამართლოსთან კომუნიკაციის საკითხს. გზამკვლევში მოცემულია საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების საკონტაქტო ბაზაც, რაც მოქალაქეებს გაუადვილებს კომუნიკაციას საჯარო უწყებებთან.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ვითვალისწინებთ, რომ გზამკვლევი სრულად ვერ მოიცავდა ყველა იმ საკითხს, რომელიც ადვოკატირების პროცესში პრობლემურ და აქტუალურ თემებად არსებობს, თუმცა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში, ორგანიზაცია მომავალშიც შეეცდება საზოგადოებას შესთავაზოს გზამკვლევის ახალი რედაქცია და მიმოიხილოს სხვა სამართლებრივი რეგულაციები.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2012 წლის ივნისში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა წევრების მიერ დაფუძნდა, რომელმაც მიზნად დაისახა:

- საქართველოში დემოკრატიისა და სამართლიანობის განვითარების ხელშეწყობა;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარება;
- ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- საადვოკატო საქმიანობა;
- საკანონმდებლო მონიტორინგი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- მონიტორინგი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- დაინტერესებულ პირთათვის კვალიფიციური სამართლებრივი დახმარების გაწევა;
- თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო სისტემის ფორმირების ხელშეწყობა, საარჩევნო კანონმდებლობის, არჩევნების მონიტორინგისა და ამომრჩეველთა ინფორმირებულობა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მხარდაჭერა; ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- საქართველოს უსაფრთხოებისა და ევროინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა;
- თვითმმართველობის ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერა;

- ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათი შესაძლებლობების განვითარებისა და საზოგადოებაში დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდობასა და აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის სტრუქტურული დიალოგის მხარდაჭერა და განვითარება;
- სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირების პროცესში ჩართულობა, ახალგაზრდული ორგანიზაციების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების ხელშემწყობი ღონისძიებების მომზადება;
- არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების ადვოკატირება;
- კონფერენციებისა და სემინარ-ტრეინინგების ჩატარება;
- ადგილობრივ და საერთაშორისო, მათ შორის პროფესიულ გაერთიანებებთან თანამშრომლობა;
- ბოლონიის პროცესის მხარდაჭერა; ბოლონიის პროცესში ჩართული სუბიექტების ადვოკატირება;
- სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა;
- სხვა კანონმდებლობით აუკრძალავი ქმედება, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვის, სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის განვითარების, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებისა და გლობალურ პოლიტიკურ-სამართლებრივ პროცესებში ქართული საზოგადოების ინტეგრირებისაკენ.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, დაფუძნების დღიდან, აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას მიმართავს და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, აქტიური წვლილი შეაქვს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების/თავისუფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერაში. ორგანიზაცია ახორციელებს სტრატეგიულ საქმისწარმოებას, რაც საადვოკატო საქმიანობის ფორმებთან ერთად, გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან. ამ მიმართულებით, „ახალგაზრდა ადვოკატები“ 2012 წლიდან ჩართულია საქართველოს პარლამენტთან არასამთავრობო ორგანიზაციათა დიალოგის ჯგუფის ფორმატში, 2012 წლიდან მონაწილეობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შექმნილ იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმირებისთვის ჩამოყალიბებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა სამუშაო ჯგუფში, 2012 წლიდან წარმოადგენს ახალგაზრდული ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის” სრულუფლებიან წევრს, ხოლო 2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის ალიანსის“ წევრ არასამთავრობო ორგანიზაციას. ორგანიზაცია თანამშრომლობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან, მონაწილეობს საერთო ღონისძიებებსა და შეხვედრებში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე, ამზადებს თემატურ დასკვნებს, რეკომენდაციებსა და მრგვალ მაგიდებს აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. ორგანიზაციის გუნდი აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ინიციატივების შექმნასა და განხორციელებაში. ორგანიზაციაში მიმდინარე და უკვე დასრულებულ საქმიანობას წარმოადგენს:

კვლევები/მონიტორინგი

კვლევა: „საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების სამართლებრივი ანალიზი“, 2013
კვლევა: „ლიდერი კომპანიები ახალი შრომის კოდექსის სტანდარტების დაცვის პროცესში“, 2013

კვლევა: „აქტიური მოქალაქე – ანგარიშვალდებული მთავრობა“, 2013

კვლევა: „საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2013

კვლევა: „დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ“, 2013

კვლევა: „რწმენისა და აღმსარებლობის გამოხატვის შესაძლებლობა საქართველოში“, 2013

კვლევა: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ "ახალი ტალღის" ადმინისტრაციული მმართველობის გამჭვირვალობის შესახებ", 2013

კვლევა: „ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გამჭვირვალობა და საჯაროობა 2012 წელს", 2013

კვლევა: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 16 აგვისტოს არჩევნების მონიტორინგი“, 2013

კვლევა: „საბჭოთა და პოსტ–საბჭოთა ქართული ანაბრების პრობლემის სამართლებრივი ანალიზი“ , 2013

კვლევა: „პარლამენტის წევრობის ახალგაზრდული ასაკის პოლიტიკური მიზანი და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა“, 2012

კვლევა: „საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამები“, 2012

კვლევა: „გამოხატვის თავისუფლების საკითხი დამოუკიდებელი ტელეკომპანიების საქმიანობაში“, 2012

პროექტი:

„ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურული დიალოგი სახელმწიფოსთან“, 2013 (მიმდინარე)

„ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“, 2013 (მიმდინარე)

პროექტი: „ადგილობრივი ლიდერები – მუნიციპალიტეტის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის“, 2013 (მიმდინარე)

სამოქალაქო ჩართულობა და ადვოკატირება

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანია: „გზამკვლევი მოქალაქეებისთვის – ჩემი უფლებები“, 2013

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანია: „შენ ირჩევ პრეზიდენტს – საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ საინფორმაციო გაზეთი მოსახლეობისთვის“, 2013

მრგვალი მაგიდა: „ევროკავშირის სტანდარტები, თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია საქართველოში“, 2013

მრგვალი მაგიდა: „რას მოუტანს პრეზიდენტის მასშტაბური შეწყალება საზოდოებას?“, 2013

„განათლების სისტემაში პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა სამართლებრივი დაცვა“ 2012–2013

ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და დასკვნების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
http://www.youtube.com/youngbarristers
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7
ორგანიზაციის ტელეფონი: 2 374509, 2 374503
ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
სოფიო აზარიაშვილი – 551 081803
ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივნისი
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებები

რა არის მოქალაქეობა?
მოქალაქეობა ნიშნავს პირის პოლიტიკურ სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას.

როგორ მოვიპოვოთ საქართველოს მოქალაქეობა?
საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება შესაძლებელია - დაბადებით; საქართველოს მოქალაქეობის მიღებით ანუ ნატურალიზაციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. იმისათვის, რომ პირს მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა, ის უნდა აკმაყოფილებდეს მოქალაქეობის მიღებისათვის დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:
ა) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს საქართველოს ტერიტორიაზე;
ბ) დადგენილ ფარგლებში უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას;
გ) დადგენილ ფარგლებში, უნდა იცოდეს საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები;
დ) საქართველოში უნდა ქონდეს სამუშაო ადგილი ან უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობას ან/და საქართველოს საწარმოში ფლობდეს წილს.
ე) საქართველოს მოქალაქეობის მიღება, ასევე შეუძლია პირს, რომელიც დაქორწინებულია საქართველოს მოქალაქეზე და მასთან ერთად, საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში.

რა დოკუმენტაციის წარდგენაა სავალდებულო საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად?
საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსრუველმა პირმა, რომელიც აკმაყოფილებს მოქალაქეობი მიღებისთვის კანინით დადგენილ მოთხოვნებს, მოქალაქეობის მისაღებად იუსტიციის სამინისტროში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) პირადი განცხადება საქართველოს მოქალაქედ მიღების თაობაზე;
ბ) დაბადების მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში, საქართველოში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის) ასლი;
დ) საქართველოში სამუშაო ადგილის, უძრავი ქონების, საქართველოს ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის, საქართველოს საწარმოში წილის ან აქციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ე) 2 ფოტოსურათი, ზომით 3 X 4.

რა დროს ხდება საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა?
საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე პირს შეიძლება უარი ეთქვას, თუ მან ჩაიდინა საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და ადამიანობის წინააღმდეგ; მონაწილეობდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო დანაშაულში და სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.

როგორ მოვიპოვოთ ორმაგი მოქალაქეობა?
საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან რომლისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

რა შემთხვევაში წყდება საქართველოს მოქალაქეობა?
საქართველოს მოქალაქეს, მოქალაქეობა შესაძლებელია შეუწყდეს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით; საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

რა შემთხვევაში ხდება მოქალაქეობიდან გასვლაზე უარის თქმა?
ყველა მოქალაქეს აქვს უფლება გავიდეს საქართველოს მოქალაქეობიდან, თუმცა მას შეიძლება უარი ეთქვას გასვლაზე:
ა) სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის შეუსრულებლობისას ან სამხედრო ვალდებულების მოუხდელობისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი კანონით დადგენილი წესით, განთავისუფლებულია შესაბამისი მოვალეობისაგან/ვალდებულებისაგან,
ბ) თუ იგი ბრალდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

რა შემთხვევაში შეიძლება დაიკარგოს საქართველოს მოქალაქოება?
პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას იმ შემთხვევაში, თუ - ა) საქართველოს კომპეტენტური ორგანოების უნებართვოდ შევა უცხო სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებში და მმართველობის სხვა ორგანოებში ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში; ბ) მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში; გ) საქართველოს მოქალაქეობას შეიძენს ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით და დ) მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას.

როგორ ხდება პირადობის მოწმობის აღება?
ID ბარათის მისაღებად, თუ დაინტერესებული პირი არ ცვლის რეგისტრაციის ადგილს, შეუძლია მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს ან იუსტიციის სახლს. ფოტო-სურათის გადაღება შესაძლებელია ადგილზე. მომსახურების საფასური განისაზღვრება: 10 სამუშაო დღეში - 30 ლარით, 5 სამუშაო დღეში - 40 ლარით, 3 სამუშაო დღეში - 50 ლარით, 2 სამუშაო დღეში - 60 ლარით, იმავე დღეს - 65 ლარით.

როგორ ხდება პასპორტის აღება ?
პასპორტის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს ან იუსტიციის სახლს. მოქალაქეს თან უნდა ჰქონდეს პირადობის მოწმობა. საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის აღება და ორი ფერადი ბიომეტრიული სურათის გადაღება ხდება ადგილზე.

ბიომეტრული პასპორტის მიღების ვადა და საფასური განისაზღვრება: მე–10 სამუშაო დღეს – 100 ლარით; მე–5 სამუშაო დღეს – 120 ლარით; მე–3 სამუშაო დღეს – 150 ლარით; მე–2 სამუშაო დღეს – 190 ლარით; იმავე დღეს – 205.

რა არის ხანდაზმულობა?
ხანდაზმულობა არის კანონმდებლობით დადგენილი ვადა, რომლის გასვლის შემდგომაც, პირს სხვა პირის მიმართ ეკარგება მოთხოვნის უფლება.

ხანდაზმულობის ვადები
ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. კანონი ზოგიერთი მოთხოვნისთვის ადგენს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადებს: ა) სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა - ექვს წელს. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

რომელ მოთხოვნებზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადები?
ა) პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
ბ) მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

როდის ხდება ხანდაზმულობის ვადის დაწყება?
ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

როდის ხდება ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება?
კანონმდებლობა ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძვლებს. კერძოდ, ხანდაზმულობის ვადა ჩერდება თუ ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი); სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა; კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში; კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება.

როდის ხდება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა?
ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადის ათვლა დაიწყება თავიდან.

რა არის იურიდიული პირი?
იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი ორგანიზებული წარმონაქმნი. იურიდიულ პირს აქვს საკუთარი ქონება და თავისი ქონებით დამოუკიდებლად

აგებს პასუხს. იურიდიული პირი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ. იურიდიული პირი მოქმედებს თავისი ორგანოების მეშვეობით, შეუძლია ჰქონდეს საკუთარი წესდება და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას.

სად და როგორ ხდება იურიდიული პირის რეგისტრაცია ?

მეწარმე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია შეიძლება იუსტიციის სახლში ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში. იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის საჭიროა:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ყველა პარტნიორის/დამფუძნებლის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული შეთანხმება/წესდება;

გ) თუ რეგისტრაციას ახორციელებს დაინტერესებული პირის წარმომადგენელი, სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) თუ იურიდიული პირი რეგისტრირდება ა) პარტნიორის ან დამფუძნებლის, ბ) ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მისამართისგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული პირების საკუთრებას, აუცილებელია აღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრის თანხმობა ან სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული ხელშეკრულება ამ ქონებით სარგებლობის შესახებ (იჯარის, ქირავნობის, თხოვებისა ან სხვა);

ე) თუ იურიდიული პირის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი იმავდროულად არ არის საზოგადოების დამფუძნებელი, დამატებით უნდა წარმოადგინოთ მისი თანხმობა აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

როგორ ხდება იურიდიული პირის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია ?

რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვაზე ვრცელდება იგივე წესები, რაც იურიდიული პირის რეგისტრაციაზე. ცვლილების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა, ასევე ხდება ნებისმიერ იუსტიციის სახლში ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში.

როგორ ხდება უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტის აღიარება საქართველოში ?

საქართველოში, უცხოეთში გაცემული დოკუმენტების გამოყენებისათვის, საჭიროა დოკუმენტების ლეგალიზაცია; აპოსტილით დამოწმება ან არ საჭიროებს სპეციალურ დამოწმებას.

რომელი სახელმწიფო ახდენს დოკუმენტის ლეგალიზაციას ან აპოსტილით დამოწმებას?

დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება ან ლეგალიზაცია ხდება დოკუმენტების გამცემი სახელმწიფოს მიერ. საქართველოში ლეგალიზაციის/აპოსტილით დამოწმების გარეშე დოკუმენტი მიიღება, თუ ის გაცემულია შემდეგი სახელმწიფოების მიერ:

- აზერბაიჯანი
- ბელორუსი
- თურქმენეთი
- მოლდოვა

- რუსეთი
- სომხეთი
- ტაჯიკეთი
- უზბეკეთი
- უკრაინა
- ყაზახეთი
- ყირგიზეთი

რას გულისხმობს ლეგალიზაცია/აპოსტილით დამოწმება?
დოკუმენტის აპოლსტილით დამოწმება/ლეგალიზაცია გულისხმობს დოკუმენტზე არსებული ხელწერის ნამდვილობის, ხელმომწერი პირის უფლებამოსილების, ბეჭდის ან შტამპის უტყუარობის (ავთენტურობის) დამოწმებას.

რა შემთხვევაში თავისუფლდება პირი სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან?
სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან თავისუფლდება:
ა) პირი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისთვის უვარგის პირად არის ცნობილი;
ბ) პირი, რომელმაც სამხედრო სამსახური სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალებში გაიარა;
გ) პირი, რომელიც სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის არის ნასამართლევი;
დ) პირი, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ, შრომით სამსახურს.
ე) პირი, რომელიც არის ასპირანტი;
ვ) პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას;
ზ) პირი, რომელიც არის ერთადერთი ვაჟი ოჯახში, რომელის ერთი წევრი მაინც დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ან სამხედრო სამსახურის გავლისას.
თ) საქართველოს პრეზიდენტს აქვს უფლებამოსილება გაათავისუფლოს სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული წვევამდელი.

რა შემთხვევაში გადაუვადდება წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა?
სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება წვევამდელს, თუ:
ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურის გავლისათვის დროებით უვარგისად არის ცნობილი - ვადით ერთ წლამდე;
ბ) მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე - სამართალდამცავი ორგანოების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე;
გ) არის უმაღლესი ან საშუალო სპეციალობის სასწავლებლის სტუდენტი და ჩარიცხული იყო სამხედრო კათედრაზე;
დ) არის საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი - სწავლის დამთავრებამდე, უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე;
ე) გადაიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებისთვის „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი;

ვ) არის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო, დაწყებითი პროფესიული ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლე - 20 წლის ასაკამდე;
ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დასრულების წელს დარეგისტრირდა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე - გამოცდების შედეგების დამოცხადებამდე;
თ) პატრონობს შრომიუუნარო, მის კმაყოფაზე მყოფ ბებიას ან პაპას, რომლებსაც არ ჰყავთ სხვა კანონიერი მომვლელი;
ი) ჰყავს ორი ან მეტი შვილი;
კ) ყავს ერთი შვილი - შვილის შეძენის დღიდან 3 წლამდე ვადით;
ლ) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არ ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;
მ) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზღუნველობას, ჰყავს ცალკე ოჯახად მცხოვრები და, რომელსაც არ შეუძლია ოჯახის შრომისუუნარო წევრის მოვლა-პატრონობა;
ნ) მის კმაყოფაზეა არასრულწლოვანი ან/და ობოლი და-ძმა;
ო) არის მღვდელთმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში;
პ) არის დედისერთა;
ჟ) მუშაობს სოფელში მასწავლებლად ან ექიმად;
რ) გაწვევის გადავადების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
წვევამდელი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე, ხოლო პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში, თავისუფლდება სამხედრო ვალდებულების მოხდისგან.

ადმინისტრაციულ–სამართლებრივი ურთიერთობები

რა არის ადმინისტრაციული წარმოება?
ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით.

ვის აქვს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება?
ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება აქვს: ა) განმცხადებელს; ბ) ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განსახილველ საკითხზე; გ) პირს, რომელსაც კანონმდებლობით ენიჭება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება; დ) სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ე) დაინტერესებულ მხარეს.

როგორ ხდება ადმინისტრაციული წარმოების დაწყება?
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ასევე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყება ხდება დაინტერესებული პირის განცხადების წარდგენით. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმის და შეიცავდეს:
ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;
გ) მოთხოვნას;
დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

ვინ იცავს პირის უფლებებს ადმინისტრაციული წარმოებისას?
ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან პირადად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით.

რა არის ადმინისტრაციული საჩივარი?
ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით. ადმინისტრაციული საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ვინ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს და რა ფორმით უნდა იყოს ის შედგენილი?
ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.
ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.
პირს ასევე შეუძლია თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესით.
ადმინისტრაციული საჩივარი უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით. ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს:
ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი;
ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;
გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;
დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;
ე) მოთხოვნა;
ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;
ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.
თუ ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთვება მისი ასლი.

რა ვადაში განიხილავს ადმინისტრაციული ორგანო საჩივარს?
თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში.
თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვით.

სად შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება?
თუ პირი არ ეთანმხება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს. სასამართლო, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ არ გამოიყენა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

რა არის საჯარო ინფორმაცია და ვის შეუძლია მისი გამოთხოვა?
საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაცულია საჯარო დაწესებულებაში, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.
ნებისმიერ პირს შეუძლია მიიღოს საჯარო ინფორმაცია, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

რა არის საჭირო საჯარო ინფორმაციის მისაღებად?

საჯარო ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს იმ ორგანოს, საიდანაც სურს ინფორმაციის მიღება. განცხადება იწერება საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე.

რა ვადაში ხდება საჯარო ინფორმაციის გაცემა?

საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

გასაჩივრება

საჯარო დაწესებულების უმოქმედობა (რომელიც ითვლება უარის თქმად), ასევე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა, საჩივრდება ადმინისტრაციული საჩივრით. საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს შესაბამისი უწყების ხელმძღვანელი პირის სახელზე 1 თვის ვადაში.

საჩივრის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით, პასუხის მიღების ან საჩივრის განხილვის ვადის ამოწურვიდან 1 თვის ვადაში.

სისხლის–სამართლებრივი ურთიერთობები

მოწმის უფლებები და მოვალეობები
მოწმეს უფლება აქვს:
ა) იცოდეს რა საქმესთან დაკავშირებითაა გამოძახებული, როგორც მოწმე;
ბ) თუ არ იცის სამართალწარმოების ენა უფლება აქვს სახელმწიფო ხარჯზე ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;
გ) გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებების ოქმს, შეიტანოს მასში შენიშვნები და ცვლილებები.

რა შემთხვევაში შეუძლია მოწმეს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე?
მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს. მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში, მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება. მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს სასამართლოში; უპასუხოს დასმულ კითხვებს; არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებული ცნობები; თუ სასამართლომ გააფრთხილა, დაიცვას სასამართლო სხდომის დროს წესრიგი და არ დატოვოს სასამართლო დარბაზი სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.

როგორი უნდა იყოს საჩივარი?
საჩივარი უნდა იყოს წერილობითი ფორმის და უნდა ერთვოდეს სისხლის სამართლის საქმეს.

რა ვადაში უნდა იყოს მომზადებული საჩივარი?
საჩივარის შეტანა შეიძლება 10 დღის ვადაში, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა იმ ქმედების ან გადაწყვეტილების თაობაზე, რომელსაც უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევთ. საჩივარში დეტალურად უნდა იქნეს ახსნილი და დასაბუთებული, რას ასაჩივრებს საჩივრის ავტორი. საჩივრის გამოთხოვის უფლება აქვს საჩივირს ავტორს. ახალი საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

რა ვადაში უნდა იქნეს საჩივარი განხილული?
საჩივარი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს საჩივრის მიღებიდან 3 დღის ვადაში, თუკი სხვა რამ არ არის დადგენილი.

რა ვადაში შეიტანება საპელაციო საჩივარი?
სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

რას ნიშნავს უდანაშაულობის პრეზუფცია?
პირი უდანაშაულოდ ითვლები, მანამ სანამ მის წინააღმდეგ კანონიერ ძალაში არ შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. არავის არ აქვს ვალდებულება ამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა. მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს.

რისი უფლება უნდა გამოიყენოს პირმა დაკავებისას?
დაკავებისას პირს უფლება აქვს: მოითხოვოს ადვოკატი; გადაეცეს დაკავების ოქმი; გამოიყენოს დუმილის უფლება; კითხვაზე პასუხის არ გაცემის უფლება; განემარტოს, რომ რასაც იტყვის შეიძლება სასამართლოში მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული; დაკავების ან დაპატიმრების

შემთხვევაში, შესაბამის დაწესებულებაში მიყვანისთანავე მიიღო შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. პირს დაკავებისას უფლება აქვს, ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით მაშინაც კი, როცა არ აქვს საშუალება გადაიხადოს ადვოკატის მომსახურების ღირებულება. ამ შემთხვევაში, მას ენიშნება ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

რა მომენტიდან ითვლება პირი დაკავებულად?
პირი დაკავებულად ითვლება მისთვის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მომენტიდან პირი, ასევე ითვლება ბრალდებულად. თუკი არსებობს დაკავების საფუძველი, დამკავებელი ვალდებულია გასაგებ ენაზე განუმარტოს დაკავებულს რა დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული, რომ აქვს ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება, დუმილის და კითხვაზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, ყველაფერი რასაც იტყვის სასამართლოში მის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

რა ვადებს არ უნდა აღემატებოდეს დაკავება?
დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში, სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლებაშეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

რა ხანგრძლივობის შეიძლება იყოს პატიმრობის საერთო ვადა?
პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან. ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს. ამ ვადის გასვის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

რა შემთხვევაში შეიძლება იქნეს პატიმრობა გამოყენებული?
პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთ-ერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: მიმალვა და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლა და ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

რა ვადაში უნდა ეცნობოს გამოძიების დაწყების შესახებ განმცხადებელს?
გამომძიებელი და პროკურორი ვალდებულნი არიან განმცხადებელს გამოძიების დაწყების შესახებ 3 დღის ვადაში აცნობონ.

როდის და რა საფუძლების არსებობისას შეიძლება მიმართოთ პროკურატურას?
პირი, რომელიც თვლის, რომ ჩადენილია დანაშაული, შეუძლია მიმართოს პროკურატურას განცხადებით. პროკურატურა კანონით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განიხილავს შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებს, აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას. პროკურატურაში შემოსული განცხადება და საჩივარი დანაშაულის შესახებ დაუყოვნებლივ განიხილება.

რა შემთხვევაში ხდება პირადი ჩხრეკა?

პროკურორს, გამომძიებელს, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლება აქვთ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას აწარმოოს პირადი ჩხრეკა. თუ ჩხრეკას თან სდევს გაშიშვლება, იგი უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პირმა.

რა ვალდებულება აქვს ჩხრეკის და ამოღების ჩატარებისას გამომძიებელს?
ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების დროს გამომძიებელი ვალდებულია წარმოადგინოს სასამართლო განჩინება ან დადგენილება, დადგენილების გაცნობა პირის მიერ დასტურდება ხელმოწერით.

რა შემთხვევაში იდება საპროცესო შეთანხმება?
საპროცესო შეთანხმების საფუძველია შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. საპროცესო შეთანხმების შეთავაზება შეუძლია, როგორც ბრალდებულს ისე პროკურორს.
სასჯელზე შეთანხმებისას, ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლეობა. ბრალზე შეთანხმება ბრალის აღიარებას ნიშნავს. მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე 15 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლოში. ეს წესი მოქმედებს საპროცესო განაჩენის გაუქმების თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ საპროცესო შეთანხმება მოტყუებით დაიდო; ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება; საპროცესო შეთანხმება იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით დაიდო და სასამართლომ უგულვებელყო სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნა.

რა ვადაში გადაეცემა მხარეს განაჩენი?
განაჩენი მისი გამოტნიდან 3 დღის ვადაში გადაეცემა მხარეს.

როგორ და რა შემთხვევებში ხდება პირის ვადამდე ადრე გათავისუფლება?
კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, პატიმრის ადვოკატი, ოჯახის წევრი, ან თავად მსჯავრდადებული ადგილობრივ საბჭოს განცხადებით მიმართავს და მისი საქმის განხილვას ითხოვს.
პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნა, პირმა უნდა დააყენოს მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი; ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი და გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი;
მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს ექვს თვეზე ნაკლები. მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.

რა შემთხვევაში ითვლება პირი ნასამართლევად/ნასამართლეობის არმქონე პირად?
მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლეობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის

კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას. სასჯელისაგან გათავისუფლებული პირი ითვლება ნასამართლეობის არმქონე პირად.

როგორია ნასამართლეობის მოხსნის პროცედურები?
ნასამართლობის მოხსნის საკითხს სასჯელმოხდილი პირის შუამდგომლობით განიხილავს გადაწყვეტილების მიმღები ან სასჯელმოხდილი პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე.

რა შემთხვევაში ხდება ნასამართლეობის გაქარწყლება?
ნასამართლეობა გაქარწყლდება: პირობით მსჯავრდებულისა - გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ; თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ; ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ; მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.
თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლეობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.
თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლეობა ნასმართლეობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლეობა მხედველობაში არ მიიღება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

როდის შეიძლება ნასამართლეობის მოხსნის თაობაზე ხელახალი შუამდგომლობის დაყენება?
ნასამართლეობის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში შუამდგომლობის ხელახლა დაყენება შეიძლება 3 თვის შემდგომ.

სად შეიძლება ნასამართლეობის შესახებ ცნობის აღება?
ნასამართლეობის შესახებ ცნობის აღება შესაძლებელია შსს მომსახურების სააგენტოსადმი მიმართვით და ნასამართლეობის შესახებ ცნობის მოთხოვნით.

რა უნდა იცოდეს პირმა, როდესაც ქუჩაში სამართალდამცავები აჩერებენ და მოითხოვენ მის გაჩხრეკას?
კანონის თანახმად, პოლიციელს უფლება აქვს ზედაპირული შემოწმება ჩაუტაროს პიროვნებას - გონივრული ეჭვის საფუძველზე. გონივრულ ეჭვს თავად ის პოლიციელი განსაზღვრავს, ვინც გარეგნულ დათვალიერებას ახდენს. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეს მიაჩნია, რომ შემოწმება მოხდა კანონდარღვევით, აღნიშნული მას ხუთი დღის ვადაში შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში.

როგორ უნდა მოიქცეს პირი, თუ ვთვლის, რომ სამართალდამცველებმა ოქმი უკანონოდ შეადგინეს?
პირს, რომელიც თვლის, რომ სამართალდამცველებმა მის მიმართ ოქმი უკანონოდ გამოწერეს, შეუძლია ადმინისტრაციული წესით გაასაჩივროს საქალაქო სასამართლოში.

როგორ უნდა მოიქცეს პირი, თუ სამართალდამცველებმა შეურაცხყოფა მიაყენეს ან მის მიმართ გამოიჩინეს ირონიული დამოკიდებულება ?
ყოველი პოლიციელი მოქმდებს სახელმწიფოს სახელით, შესაბამისად, შეურაცხმყოფა ან/და ირონიული დამოკიდებულება ვერ იქნება გამართლებული სამართალდამცავ სტრუქტურაში მომუშავე პირისგან. იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელი შეურაცხოფს მოქალაქეს ან მის მიმართ გამოიჩენს ირონიულ დამოკიდებულებას, მოქალაქეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს 5 დღის ვადაში დარღვეული უფლების აღსადგენად.

შესაძლებელია თუ არა სამართალდამცავებმა მოსთხოვონ პირს ავტომობილიდან გადმოსვლა ჩხრეკის მიზნით, ასევე განახორციელონ პირის ჩხრეკა სახლში ან სხვა დაწესებულებაში?
მოქალაქეზე გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, სამართალდამცავს შეუძლია მოსთხოვოს მას ავტომობილიდან გადმოსვლა და ადგილზე მოახდინოს მისი ჩხრეკა. იმ შემთხვევაში, თუ პირი იმყოფება სახლში ან სხვა დაწესებულებაში, ჩხრეკისათვის საჭიროა ორდერის წარდგენა.

აქვთ თუ არა სამართალდამცავებს პირის დაკავების უფლება საბუთის წარდგენის გარეშე?
იმ შემთხვევაში, თუ პირი არ იმყოფება ძებნაში, სამართალდამცავებს არ აქვთ დაკავების უფლება. პოლიციელს ფორმა აცვია თუ არა, ვალდებულია მოქალაქეს წარუდგინოს საბუთი (დამადასტურებელი დოკუმენტი). ჟეტონის წარდგენა არაა აუცილებელი, საბუთიც საკმარისია. აუცილებელია, პოლიციელმა წარადგინოს საკუთარი ვინაობა და ამის შემდგომ დაიწყოს პირის გარეგნული დათვალიერება. იმ შემთხვევაში, თუ ზედაპირული დათვალიერების შემდეგ პოლიციელი დაასკვნის, რომ შესაძლოა მოქალაქეს თან ქონდეს რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი, მას შეუძლია ჩაატაროს ადგილზე ჩხრეკა.

საოჯახო–სამართლებრივი ურთიერთობები

რა არის ქორწინება?
ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით, ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია. მისი რეგისტრაცია მეუღლეებს შორის გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს.

სად არის შესაძლებელი ქორწინების რეგისტრაცია?
ქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც იუსტიციისა და ქორწინების სახლებში, ისე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში. საზეიმო ვითარებაში, ქორწინების სპეციალურ სარიტუალო მომსახურების მიღება, შესაძლებელია, ქორწინების სახლებში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, სიღნაღში, ახალციხესა და მცხეთაში.

რა დოკუმენტაციის წარმოდგენაა საჭირო ქორწინების რეგისტრაციისათვის?
ა) დასაქორწინებელ პირთა ერთობლივი წერილობითი განცხადება;
ბ) დასაქორწინებელ პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
გ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
დ) ქორწინების მოწმე პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
ე) წინაქორწინების მოშლის დამადასტურებელი საბუთი (წინა ქორწინებაში ყოფნის შემთხვევაში).

სად და როგორ შეიძლება განქორწინების რეგისტრაცია ?
განქორწინება ხდება სასამართლო წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სხვა შემთხვევაში – სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

რას გულისხმობს საქორწინო ხელშეკრულება/კონტრაქტი?
ეს არის დოკუმენტი, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, ასახულია მეუღლეთა ქონებრივი მდგომარეობა და უფლება-მოვალეობანი. მეუღლეებს შორის შედგენილი და გაფორმებული ამ დოკუმენტის დამოწმება ხდება ნოტარიულად. ხელშეკრულება დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი მეუღლეებისაა, მესამე კი ინახება ნოტარიუსთან. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების განქორწინებისას, მოქმედი კანონმდებლობით, დაგროვილი ქონება თანაბრად იყოფა, თუმცა საქორწინო ხელშეკრულება ქონების სხვაგვარად განაწილების შესაძლებლობას იძლევა.

რა არის მეღლეთა თანასაკუთრება?
მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე, მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

რომელი ქონება არ მიეკუთვნება მეუღლეთა თანასაკუთრებას?
მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას მიეკუთვნება ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე; ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია ჩუქებით ან მემკვიდრეობით; პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები (მუსიკალური

ინსტრუმენტები, საექიმო მოწყობილობა, ბიბლიოთეკა და ა.შ.), თუნდაც ქორწინების პერიოდში იყოს შეძენილი.

როგორ ხდება მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა?
მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება შეიძლება გაიყოს, როგორც განქორწინებისას, ასევე ქორწინების განმავლობაში ურთიერთშეთანხმებით. მეუღლეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, თანასაკუთრებაში არსებული ქონების შესახებ დავას წყვეტს სასამართლო.

რა შემთხვევაში ეკისრებათ მეუღლეებს ურთიერთრჩენის ვალდებულება?
მეუღლეები ვალდებულნი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. დახმარებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მეუღლეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით და მოითხოვოს სარჩოს გადახდა.

ვის აქვს სარჩოს მიღების უფლება?
ა) შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც საჭიროებს მატერიალურ დახმარებას. ასეთ შემთხვევაში, მეუღლისაგან სარჩოს გადახდა შეუძლია მოითხოვოს, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინების შემდეგ, თუ შრომისუუნარო გახდა ქორწინების პერიოდში ან განქორწინებიდან 1 წლის განმავლობაში.
ბ) ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან 3 წლის განმავლობაში.

რა ოდენობის სარჩო შეიძლება იქნეს მოთხოვნილი?
გადასახდელი სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, ყოველთვიურად გადასახდელი ფულადი სახით.

რა შემთხვევაში მოისპობა სარჩოს გადახდის ვალდებულება?
მეუღლეს მეორე მეუღლის მიმართ ეხსნება რჩენის ვალდებულება თუ: ა) სარჩენი აღარ არის შრომისუუნარო და აღარ საჭიროებს მატერიალურ დამხმარებას; ბ) ბავშვის დაბადებიდან გავიდა 3 წელი და გ) სარჩენი ხელახლა დაქორწინდა.

როგორ ხდება მამობის დადგენა?
მამობის დადგენის რეგისტრაციისათვის, ორივე მშობლის ურთიერთშეთანხმებისას, პირმა უნდა მიმართოს იუსტიციის სახლს ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს.

ვის უნდა მიმართოს დედამ მამობის დადგენის რეგისტრაციისთვის?
დედის მიერ მამობის დადგენის რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მამობის დადგენის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამისათვის, მან უნდა მიმართოს სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით და მოითხოვოთ მამობის დადგენა. ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ექსპერტიზის დასკვინის საფუძველზე - ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს.

ვის უნდა მიმართოს მამამ მამობის დადგენის რეგისტრაციისთვის?
მამობის დადგენის რეგისტრაციისათვის მამის განცხადების საფუძველზე, ბავშვის დედის გარდაცვალების, ქმედუუნაროდ ცნობის, ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობის,

აგრეთვე დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში, პირმა უნდა მიმართოს იუსტიციის სახლს ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს.

როგორ ხდება მამობის დადგენის რეგისტრაცია?
მამობის დადგენის რეგისტრაცია ადასტურებს კონკრეტული პირის ბავშვის მამად ცნობას (აღიარებას), რითაც ბავშვი მოიპოვებს მემკვიდრეობის, მამის გარდაცვალების შემთხვევაში კი, მარჩენალის დაკარგვის გამო, პენსიის მიღების უფლებას. ბავშვს, რომლის წარმოშობა დადგენილია მშობელთა ერთობლივი განცხადებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, მშობლებისა და ნათესაობის მიმართ აქვს ისეთივე უფლებები, როგორიც დაქორწინებულ პირთაგან წარმოშობილ ბავშვს.

ვის შეიძლება დაეკისროს ალიმენტი?
ალიმენტის გადახდა შეიძლება დაეკისროთ: ა) მშობლებს, ბ) შვილებს გ) პაპა-ბებიას დ) და-ძმას

რა შემთხვევაში ეკისრებათ ალიმენტის გადახდა მშობლებს?
მშობლებს ეკისრებათ თავიანთი შვილების რჩენის მოვალეობა. ისინი ვალდებულები არიან არჩინონ არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას. ეს ვალდებულება ეკისრება, როგორც დედას, ისე მამას, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ქორწინებაში ერთმანეთთან. მშობლები ვალდებულნი არიან არჩინონ შვილები სრულწლოვნობამდე. სრულწლოვნობას მიღწეული შვილები კარგავენ მშობლებისგან სარჩოს მიღების უფლებას.
გამონაკლისია შემთხვევა, თუ შვილი შრომისუუნაროა და არავითარი საარსებო წყარო არ გააჩნია, არ ჰყოფნის სახელმწიფოს მიერ დანიშნული შემწეობა, მასზე მზრუნველობა გაგრძელდება სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც.

რა შემთხვევაში ეკისრებათ ალიმენტის გადახდა შვილებს?
სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობელი თავს არიდებდა მშობლის მოვალეობის შესრულებას, ასევე მშობელი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება კარგავს შვილისაგან ალიმენტის მიღების უფლებას.

რა შემთხვევაში ეკისრება ალიმენტის გადახდა და/ძმას?
დები და ძმები, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი დები ან/და ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და არ შეუძლიათ სარჩო მიიღონ მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათი შრომისუუნარო სრულწლოვანი დების ან/და ძმების მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

რა შემთხვევაში ეკისრებათ ალიმენტის გადახდა პაპა/ბებიას?
პაპა და ბებია, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილიშვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილიშვილის მიმართ, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია მიიღოს სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

ვინ შეიძლება იყოს მშვილებელი?
მშვილებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩამორთმეული ან შეზღუდული აქვს მშობლის უფლებამოვალეობები მშობლის უფლებების განუხორციელებლობისა და მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად განხორციელების/შესრულების გამო. მშვილებელი არ შეიძლება იყოს ასევე პირი, რომელსაც ავადმყოფობის ან მორალური თვისებების გამო არ შეუძლია განახორციელოს მშობლის უფლებები.

როგორია შვილად აყვანის პროცედურები?
ა) შვილად აყვანისას უნდა მოხდეს გასაშვილებელი ბავშვის გამოვლენა და აღრიცხვა;
ბ) მშვილებელ ოჯახთა/პირათა აღრიცხვა.
პოტენციური მშვილებლები ვალდებულნი არიან მეურვეობისა და მზრუნველობის ტერიტორიულ ორგანოში წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
ა) განცხადება შვილად აყვანის თაობაზე, სადაც მითითებული იქნება მშვილებლების გვარი, სახელი, მისამართი და რომელი სქესის აყვანა სურთ;
ბ) ცნობა სამუშაო ადგილიდან თანამდებობისა და ხელფასის აღნიშვნით;
გ) ცნობა პოლიციიდან, რომ პოტენციურ მშვილებლებს არ ჰქონიათ კრიმინალური წარსული;
დ) ქორწინების მოწმობის ასლი;
ე) სამედიცინო დასკვნა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებიდან, ფსიქიატრის დასკვნით და იმ სნეულებათა აღნიშვნით, რაც ხელს არ შეუშლით ბავშვის შვილად აყვანაში (ფორმა 164/ს);
ვ) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
ზ) პასპორტებს მშვილებელთა კანდიდატები წარადგენენ პირადად.

ვინ შეიძლება დაექვემდებაროს შვილად აყვანას?
შვილად აყვანას ექვემდებარება რეესტრში აღრიცხული 18 წლამდე პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი. გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება პირს:
ა) რომლის მშობელიც (მშობლებიც) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
ბ) რომელიც არის ობოლი;
გ) რომელიც აღიარებულია მიტოვებულ ბავშვად;
დ) რომლის მშობელსაც (მშობლებსაც) ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლება;
ე) რომლის ყველა კანონიერმა წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა მის გაშვილებაზე მინისტრის მიერ დადგენილი წესით .
პირს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, რის შემდეგაც გასაშვილებელი ბავშვის შესახებ მონაცემები აღირიცხება რეესტრში. შესაძლებელია, ასევე სრულწლოვანის შვილად აყვანაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლისა და შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია. თუ შვილად ასაყვანი დაქორწინებული პირია, ასეთ დროს შვილად აყვანისათვის აუცილებელია მისი მეუღლის თანხმობა.

ვინ შეიძლება იყოს დედობილი/მამობილი?

დედობილი/მამობილი შეიძლება იყოს სრულწლოვანი პირი – საქართველოს მოქალაქე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე, გარდა:

ა) იმ პირისა, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;

ბ) იმ პირისა, რომელსაც შეზღუდული, შეჩერებული ან ჩამორთმეული აქვს მშობლის ან მეურვის/მზრუნველის უფლებები და მოვალეობები კანონით განსაზღვრულ მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო;

გ) იმ პირისა, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (სამინისტროს მიერ დამტკიცებული დაავადებათა სიის მიხედვით) არ შეუძლია ბავშვის აღზრდა;

დ) იმ პირისა, რომელსაც ან რომლის ოჯახის წევრსაც სასამართლომ მსჯავრი დასდო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის და ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) მინდობით აღსაზრდელის მშობლისა, აგრეთვე მეურვისა/მზრუნველისა, რომლებსაც აკისრიათ ამ ბავშვის რჩენის ვალდებულება;

ვ) იმ პირისა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობითა და სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო ჩამოერთვა მინდობით აღსაზრდელი;

ზ) იმ პირისა, რომლის ოჯახის სოციალური სტატუსი შეფასებულია დადგენილი წესით და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე;

თ) იმ პირისა, რომელიც ნასამართლევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIV თავით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვის უნდა მივმართოთ შვილად აყვანისას?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თავისი ტერიტორიული ორგანოები, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებისა და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით ახორციელებს საქმიანობას მშვილებლებისა და ბავშვების დასაკავშირებად. მითითებული ორგანოების გარდა, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეკრძალებათ საქმიანობა შვილად აყვანის მიზნით მშობლების გარეშე დარჩენილ ბავშვთა გამოსავლენად.

შვილად აყვანის საიდუმლოება

მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება, ბიოლოგიური მშობელი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს თანამშრომელი და შვილად აყვანის პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი სხვა პირი ვალდებულნი არიან საიდუმლოდ შეინახონ შვილად აყვანის პროცედურის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე მიღებული ინფორმაცია. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება ბიოლოგიური მშობლის, მშვილებლისა და სრულწლოვანი ნაშვილების თანხმობის გარეშე აკრძალულია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პასუხისმგებლობა, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები

როგორ ხდება მემკვიდრეობის დადგენა?
მემკვიდრეობის მიღების წესებს ადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. კოდექსის შესაბამისად, მამკვიდრებლის - გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლა სხვა პირებზე - მემკვიდრეებზე ხდება კანონით ან ანდერძით, ან ორივე საფუძვლით.

რას გულისხმობს კანონით მემკვიდრეობა და ვინ არიან კანონიერი მემკვიდრეები?
კანონით, მემკვიდრეების წრეს და მათ რიგითობას ყველასათვის სავალდებულო წესით განსაზღვრავს ქვეყნის კანონმდებლობა. კანონით მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები არიან გარდაცვლილი პირის გარდაცვალების მომენტისათვის და ასევე, გარდაცვლილი პირის შვილები, რომლებიც ცოცხლები დაიბადებიან მისი გარდაცვალების შემდეგ.
სამოქალაქო კოდექსით, მემკვიდრეებად, რიგის მიხედვით ითვლებიან შემდეგი პირები:
ა) პირველი რიგი - გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები);
ბ) მეორე რიგი - გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა;
გ) მესამე რიგი - ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან;
დ) მეოთხე რიგი - ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები;
ე) მეხუთე რიგი - ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.

შეუძლია თუ არა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს გახდეს კანონისმიერი მემკვიდრე?
ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები მამის მემკვიდრეებად ჩაითვლებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამობა დადგენილი და აღიარებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

როგორ ხდება ქონების გადანაწილება კანონიერ მემკვიდრეებს შორის?
კანონით, მემკვიდრეობისას გასათვალისწინებელია, რომ ვერც ერთი მომდევნო რიგის მემკვიდრე ვერ მიიღებს სამკვიდრო ქონებას, თუ წინა რიგის, თუნდაც ერთი მემკვიდრე ცოცხალია. ასევე, თუ მამკვიდრებლის (გარდაცვლილის) მეუღლე ცოცხალია, მაშინ სხვა მემკვიდრეების მემკვიდრეობის უფლება არ ეხება სამკვიდრო ქონების იმ ნაწილს, რომელიც მას თანასაკუთრებად ეკუთვნის.

რას გულისხმობს ანდერძით მემკვიდრეობა?
ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევაში, მისი ქონება ან ქონების ნაწილი დაუტოვოს ნებისმიერ პირს საკუთარი შეხედულებისამებრ. ანდერძით მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრების გარდაცვალების მომენტისათვის და ასევე პირები, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადებიან მისი გარდაცვალების შემდეგ. ამ შემთხვევაში, მნიშნელობა არ აქვს ჩასახული ბავშვი მისი შვილია თუ არა. ანდერძით

მემკვიდრეები, ასევე შეიძლება იყვნენ იურიდიული პირებიც. მამკვიდრებელს ანდერძით შეუძლია განსაზღვროს, თუ რომელ მემკვიდრეს, რა წილს გადასცემს მისი ქონებიდან ან/და რომელ მემკვიდრეზე კონკრეტულად რა ქონება გადადის. მოანდერძე, ასევე უფლებამოსილია ანდერძით მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვას ერთ ან რამდენიმე კანონით მემკვიდრეს, მიზეზის მითითების გარეშე.

ვინ არ შეიძლება იყვნენ ანდერძით მემკვიდრეები?

არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებული იქნება უღირს მემკვიდრედ. ასეთად კი ჩაითვლება პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ. მამკვიდრებელს კანონი ანიჭებს უფლებას აპატიოს უღირს მემკვიდრეს მისი საქციელი, ოღონდ ამის შესახებ აშკარად უნდა იყოს მითითებული ანდერძში. ასეთ შემთხვევაში, უღირსი საქციელის ჩამდენ მემკვიდრესაც წარმოეშობა მემკვიდრეობის მიღების უფლება.

კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან, ასევე მშობლები, რომლებსაც ჩამოერთვათ მშობლის უფლება და სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის არ მომხდარა მათთვის მშობლის უფლების აღდგენა. მემკვიდრეები, ასევე ვერ იქნებიან ის პირები, რომლებიც ბოროტად არიდებდნენ თავს მათზე დაკისრებულ მამკვიდრებლის რჩენის მოვალეობას, ოღონდ ასეთი გარემოება დადასტურებული უნდა იყოს სასამართლო წესით.

როგორ უნდა შევადგინოთ ანდერძი?

კანონმდებლობით დადგენილია ანდერძის ფორმები და მისი შედგენის წესები. კერძოდ, ანდერძი მოანდერძემ უნდა შეადგინოს პირადად, რომელიც შედგენილი უნდა იქნას აუცილებლად წერილობითი ფორმით და ხელი მოაწეროს მას (შინაურული ანდერძი). მამკვიდრებელს საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია წერილობითი ფორმით შედგენილი ანდერძი დაამოწმოს სანოტარო წესით. ნოტარიუსს ან სხვა ნებისმიერ პირს, რომელიც მონაწილე იყო ანდერძის შედგენისა, უფლება არ აქვთ სამკვიდროს გახსნამდე გაამხილონ ანდერძის შინაარსი.

ანდერძში მითითებული უნდა იყოს ანდერძის შედგენის თარიღი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ანდერძის ბათილობის საკითხი, მხოლოდ მაშინ, თუ ვერ გაქარწყლდება ეჭვი იმის შესახებ, რომ ანდერძი შეცვლილია ან გაუქმებულია ან/და რამდენიმე ანდერძის არსებობის შემთხვევაში იარსებებს ეჭვი მოანდერძის ქმედუნარიანობის შესახებ.

როგორ მოვიქცეთ, თუ რამდენიმე ანდერძი არის შედგენილი ერთი პირის მიერ?

თუ მოანდერძემ რამდენიმე ანდერძი შეადგინა, რომელთაგან ერთ-ერთი შედგენილია სანოტარო წესით, მაშინ უპირატესობა ენიჭება სანოტარო წესით შედგენილ ანდერძს.

როგორ ხდება სავალდებულო წილის მიღება და რა უფლებები გააჩნია სავალდებული წილის მიმღებს?

შესაძლებელია მამკვიდრებელმა ანდერძით მემკვიდრეებად დაასახელოს პირები, რომლებიც არ არიან კანონით მემკვიდრეები. ასეთ შემთხვევაში, მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეებს (შვილებს, მშობლებს და მეუღლეს) მამკვიდრებლის ქონებიდან მაინც ეკუთვნით

სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ ქონების ნახევარი, რასაც მიიღებდნენ ანდერძის არ არსებობის შემთხვევაში. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშვება სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სავალდებულო წილის მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში, მისი წილი გადანაწილდება ანდერძით მემკვიდრეებზე.

როგორ ხდება სამკვიდროს მიღება და რა მომენტიდან ითვლება სამკვიდრო მიღებულად?
მემკვიდრეს სამკვიდროს მიღება შეუძლია, როგორც პირადად, ასევე წარმომადგენლის მეშვეობით. ამასთან, კანონის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულად ჩაითვლება სანოტარო ორგანოში სამკვიდროს მიღების შესახებ განაცხადის შეტანის მომენტიდან, ან/და, თუ მემკვიდრე, ფაქტობრივად, შეუდგება ქონების ფლობას ან მართვას. სამკვიდრო მიღებული უნდა იქნას სამკვიდროს გახსნის დღიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადისა. კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლებელია, ასევე ამ ვადის გაგრძელებაც. მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

როგორ გაიცემა სამკვიდრო მოწმობა?
სამკვიდრო მოწმობა მემკვიდრეებს ეძლევათ სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს. ექვს თვეზე ადრე სამკვიდრო მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევებში, თუ ნოტარიუსს ექნება ცნობა, რომ მოწმობის მთხოვნელ პირთა გარდა, სხვა მემკვიდრეები არ არიან.

როგორ ხდება უარის თქმა მემკვიდრეობაზე?
მემკვიდრე უფლებამოსილია უარი განაცხადოს სამკვიდროს მიღებაზე. უარი მემკვიდრეს შეუძლია განაცხადოს სამი თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც შეიტყობს ან უნდა შეეტყო მისი მემკვიდრეობის შესახებ. უარის თქმის შესახებ არსებული ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო წესით, ხოლო თავად უარი სამკვიდროს მიღებაზე გაფორმებული უნდა იყოს სანოტარო წესით.
უარის თქმის უფლება აღარ ექნება მემკვიდრეს მას შემდეგ რაც ის სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადებას შეიტანს ნოტარიუსში. არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით. თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს ნაწილზე ან დათქვამს რაიმე პირობას, ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროზე. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა შეუქცევადია. შესაბამისად მისი გადათქმა არ დაიშვება.

როგორ ხდება სახელის ან/და გვარის შეცვლა?
სახელის ან/და გვარის შეცვლა შეიძლება ერთ-ერთი მიზეზის არსებობისას:
ა) სახელი, გვარი რთულად წარმოსათქმელი, არაკეთილხმოვანი ან დამაკნინებელია;
ბ) პირს სურს მიიღოს ან თავის გვარს შეუერთოს მეუღლის გვარი;
გ) პირს სურს მიიღოს ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი;
დ) პირს სურს დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი;
ე) პირს სურს მიიღოს პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი (მაგ. დედის, მამის, ბებიის და ა.შ).
სახელის ან /და გვარის შეცვლის შემთხვევაში, სახელის არჩევა ხდება სურვილისამებრ, ხოლო გვარი უნდა იყოს ერთ-ერთი შემდეგი: პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი; მშობელთა შეერთებული გვარი; ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი; მშვილებლის გვარი; მეუღლის გვარი; სხვა სახელმწიფოს ორგანოს მიერ მონიჭებული გვარი.

სად შეიძლება სახელის/გვარის შეცვლა?

სახელისა და გვარის შეცვლის სურვილის შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს იუსტიციის სახლს ან სახელმწიფო სერვისების განვითარების შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს, თან უნდა წარადგონოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება სახელის ან/და გვარის შეცვლის თაობაზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი საბუთი;

გ) დაბადების მოწმობა;

დ) ქორწინების მოწმობა (ქორწინებაში ყოფნის შემთხვევაში);

ე) არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები;

ვ) თუ პირს სურს მიიღოს ფაქტობრივი აღმზრდელის ან პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი - შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი საბუთები.

ზ) მშობლის მონაცვლე პირის წერილობითი თანხმობა (თუ სახელის ან/და გვარის შეცვლის მსურველი პირი არის 16- დან 18 წლამდე არასრულელოვანი).

რამდენია სახელის/გვარის შეცვლის ღირებულება?

ა) 45-ე დღეს - 55 ლარი;

ბ) 30-ე დღეს - 155 ლარი

გ) მე-15 დღეს - 225 ლარი

დ) 10 დღის ვადაში - 355 ლარი

დევნილი ან იძულებით გადაადგილებული პირი, ფაქტის დამადასურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, თავისუფლდება მომსახურების საფასურის გადახდისაგან.

შრომითი ურთიერთობები

რა წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის საფუძვლებს?

შრომით ურთიერთობას წარმოადგენს დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. ასეთი ურთიერთობა წარმოიშობა ორივე მხარის, დამსაქმებლისა და დასაქმებულის თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე. მხარეთა შეთანხმების შემდომ ხდება შრომითი ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულება შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი ფორმის, გაფორმებული განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ამასთან, თუ მხარეებს შორის შრომითი ურთიერთობა გრძელდება სამ თვეზე მეტი ვადით, მაშინ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის აუცილებლად უნდა გაფორმდეს წერილობითი შრომითი ხელშეკრულება. ნებისმიერ შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულება იქნება ზეპირი თუ წერილობითი ფორმის, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

რას ნიშნავს გამოსაცდელი ვადა?

დასაქმებულთან შესაძლებელია გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით, რათა მოხდეს დასაქმებულის შესაბამისობის დადგენა შესასრულებელ სამუშაოსთან. გამოსაცდელი ვადით, შრომითი ხელშეკრულების გაფორმება კონკრეტულ დასაქმებულთან, შესაძლებელია, მხოლოდ ერთხელ, წერილობითი ფორმით და მისი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, დადოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება ან შეწყვიტოს მასთან გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ურთიერთობა. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად და მასზე არ ვრცელდება შრომის კოდექსით დადგენილი ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგადი წესი.

როგორია სამუშაო დროის ხანგრძლივობა და ზეგანაკვეთური სამუშაო?

სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს – კვირაში 48 საათს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო და დასვენების დრო. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა:

ა) სრულწლოვანისათვის აღემატება კვირაში 40 საათს;

ბ) 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისათვის – კვირაში 36 საათს,

გ) 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისათვის – კვირაში 24 საათს.

ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა, ასევე კანონით გათვალისწინებულ უქმე დღეებში მუშაობაც. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ, დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე. აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, არასრულწლოვანის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

როგორ ხდება შვებულების გამოყენება?

დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის დაწყებიდან 11 თვის შემდეგ. ამასთან, დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს წელიწადში ანაზღაურებადი შვებულებით - სულ მცირე 24 სამუშაო დღის ხანგრძლივობით, ხოლო ანაზღაურების გარეშე შვებულებით - სულ მცირე 15 კალენდარული დღის ვადით. შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო.

მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში, შვებულების აღება დასაქმებულს შეუძლია აღნიშნული 11–თვიანი ვადის გასვლამდეც. ასევე, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ შვებულების განსხვავებულ ხანგრძლივობაზეც, ოღონდ ასეთი შეთანხმება არ უნდა აუარესებდეს შრომის კოდექსით დადგენილ მდგომარეობას.

დასაქმებულს, თავისი მოთხოვნის საფუძველზე, ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო – 477 კალენდარული დღის ოდენობით, საიდანაც ანაზღაურებადია 126 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 140 კალენდარული დღე.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო, შვებულებები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით ანაზღაურებაზეც.

როგორ ხდება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა?

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;

დ) დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება;

ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

ვ) დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან;

ზ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა;

თ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში, უკვე გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;

ი) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში, საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს კანონით გათვალისწინებული შვებულება;

კ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;
ლ) სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ;
მ) დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება;
ნ) დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება;
ო) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.
შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომის შინაგანაწესი შრომითი ხელშეკრულების ნაწილია.

რა ვალდებულებები აკისრია დამსაქმებელს, თუკი წყვეტს ხელშეკრულებას?
თუ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორია დასაქმებული, მაშინ მან დამსაქმებელს არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე უნდა გააფრთხილოს წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. დამსაქმებელს, სხვადასხვა გარემოებების დროს, აკისრია ვალდებულება:
ა) არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამასთანავე, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;
ბ) არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
გ) დამსაქმებელი, ასევე ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად.

სად და როგორ შეიძლება შრომითი სტაჟის დამადასტურებელი ცნობის მიღება– შრომის წიგნაკი?
შრომითი სტაჟის დამადასტურებელი ცნობის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ დროს. ამისათვის საჭიროა ძველ ან/და მიმდინარე სამსახურში/ორგანიზაციაში მისვლა და განცხადების დაწერა შრომითი სტაჟის შესახებ ცნობის მიღების მოთხოვნით. შრომის წიგნაკი წარმოადგენს შრომითი სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტს. შრომის წიგნაკი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ არის სავალდებულო დოკუმენტი. მისი წარმოება მთლიანად დამოკიდებულია დასაქმებულის სურვილზე.

საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები

როგორ ხდება საკუთრების უფლების შეძენა უძრავ ქონებაზე?

უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა–ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. მაგალითად, საცხოვრებელი ბინა, აგარაკი და ა.შ. უძრავი ნივთის შესაძენად, საჭიროა გარიგების წერილობითი ფორმით დადება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

როგორ ხდება საკუთრების უფლების შეძენა მოძრავ ქონებაზე?

მოძრავი ნივთის შესაძენად, საჭიროა გარიგების დადება და ნივთის შემძენისათვის გადაცემა. მოძრავ ნივთებზე დადებული გარიგება შეიძლება იყოს, როგორც წერილობით ისე ზეპირი ფორმის. მოძრავი ნივთის გადაცემად ითვლება: ა) შემძენისათვის ნივთის გადაცემა პირდაპირ მფლობელობაში; ბ) არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად და გ) მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება.

რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს საკუთრების უფლება?

საკუთრების უფლების შეზღუდვა/ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას, სრული ანაზღაურებით. გადაუდებელ აუცილებლობას მიეკუთვნება ვითარება, რომლის დროსაც ეკოლოგიური კატასტროფის, სტიქიური უბედურების, ეპიდემიის, ეპიზოოტიპის გამო საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ უშიშროებას.

რა მიზნით შეიძლება საკუთრების ჩამორთმევა?

საკუთრების ჩამორთმევა ხორციელდება შემდეგი სამუშაოების განხორციელების მიზნით: ა) გზისა და მაგისტრალის გაყვანა-მშენებლობისათვის; ბ) რკინიგზის ხაზების გაყვანისთვის; გ) ნედლი ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ნავთობპროდუქტების მილსადენების გაყვანისათვის; დ) ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების, მშენებლობისათვის წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ატმოსფერული ნალექების კოლექტორული ხაზების გაყვანისათვის; ე) სატელეფონო ხაზების გაყვანისათვის; ვ) სატელევიზიო კაბელების გაყვანისათვის; ზ) საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი ნაგებობისა და ობიექტის მშენებლობისათვის; თ) ეროვნული თავდაცვისათვის საჭირო სამუშაოებისათვის; ი) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის.

საკუთრების უფლების ჩამორთმევისას, აუცილებელია მესაკუთრეს სრულად აუნაზღაურდეს საკუთრების ღირებულება. ღირებულების დადგენა ხდება დამოუკიდებელი ექსპერტის დახმარებით, რომელიც განსაზღვრავას სავარაუდო საკომპენსაციო თანხას საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

თუ ექსპროპრიატორი და ქონების მესაკუთრე ვერ თანხმდებიან ქონების საბაზრო ღირებულებასა და საკომპენსაციო თანხაზე, მაშინ თითოეულ მხარეს უფლება აქვს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში. სასამართლო უფლებამოსილია ქონების შეფასების მიზნით დანიშნოს დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს სასამართლოს დასკვნას საექსპროპრიაციო ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნის, აგრეთვე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე საკომპენსაციო თანხის საბოლოო შეფასებას ახორციელებს სასამართლო.

რა უნდა ვიცოდეთ ბინის შეძენისას?

ბინის შეძენისთვის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე, აუცილებელია საჯარო რეესტრში გადამოწმდეს ბინის მესაკუთრეთა ვინაობა, ბინის სტატუსი და ასევე უფლებრივი დატვირთვის მდგომარეობა. მაგალითად, საჭიროა გაირკვეს ბინა ხომ არ არის დატვირთული იპოთეკით, რადგან ასეთი ბინის შეძენისას ხშირ შემთხვევაში საჭიროა იპოთეკარის წერილობითი თანხმობა, ამასთან ქონება რჩება იპოთეკით დატვირთული და იპოთეკის უზრუნველყოფის ვალდებულება გადადის ახალ მესაკუთრეზე.

სად და როგორ შეიძლება ქონებაზე ყადაღის შესახებ ცნობის აღება?

ქონებაზე ყადაღის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, შესაბამისი განცხადების საფუძველზე.

რა არის საზიარო უფლება?

თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ თითოეულ მესაკუთრეს ქონებაზე აქვს საზიარო უფლება. ასეთ შემთხვევაში, საზიარო საგნის მართვა და განკარვა უნდა განხორციელდეს ერთობლივად.

როგორ ხდება საზიარო უფლების გაუქმება?

თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. თანამესაკუთრეებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, თითოეულ საზიარო უფლების მქონე პირს აქვს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

საზიარო უფლება შეიძლება გაუქმდეს ნატურით ან რეალიზაციის გზით.

საზიარო უფლების გაუქმება ნატურით ხდება იმ შემთხვევაში, თუ საზიარო საგანი შეიძლება გაიყოს ღირებულების შემცირების გარეშე, ერთგვაროვან ნაწილებად წილების შესაბამისად. მაგალითად, საცხოვრებელი სახლის გამიჯვნისას, უნდა მიმართოთ ექსპერტს, რომელიც დაადგენს, რამდენად შესაძლებელია ქონების ნატურით გაყოფა. ამ დროს საჭიროა სახლის თითოეულ ნაწილს ჰქონდეს დამოუკიდებელი შესასვლელი.

თუ ქონების ნატურით გაყოფა შეუძლებელია, მაშინ თანამესაკუთრეებს შეუძლიათ საზიარო საგნის რეალიზაცია და ამონაგები თანხა გაიყონ წილის პროპორციულად.

ვინ ახორციელებს უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზებას?

2007 წლის 1 იანვრამდე, უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზაციას ახდენს მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი ორგანო.

რომელ ობიექტებზე ხორციელდება აღნიშნული წესით ლეგალიზება?

ა) ობიექტების მიმართ, რომელიც 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევითაა აშენებული.

ბ) მრავალბინიანი სახლების მიშენება-დაშენების მიმართ, რომლებზეც 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით დაიწყო მშენებლობა და რომელიც არ გულისხმობს მიშენების გაზრდას ან/და სართულის დამატებას. მაგალითად, აივანი, სხვენი და ა.შ.

გ) 500 კვ.მ.-მდე საერთო ფართის მქონე ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე, რომელთა აშენება 2007 წლის 1 იანვრამდე დაიწყო და დაუმთავრებელია, თუმცა ნულოვან ნიშნულამდე მოწყობის სამუშაოები დასრულებულია.

როგორ ხორციელდება ლეგალიზება?

დაინტერესებულმა პირმა ლეგალიზაციის მოთხოვნით უნდა მიმართოს განცხადებით მშენებლობის ნებართვის გამცემ შესაბამის ორგანოს, რომელიც გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების ან ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ იღებს განცხადების შეტანიდან 30 დღის ვადაში. ამ ვადაში, გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება ლეგალიზებულად.

ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილებით ხდება ობიექტების ან მათი ნაწილების დაკანონება. ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტების ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.

სად და რა ვადაში შეიძლება გადაწყვეტილების გასაჩივრება?

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში 30 დღის ვადაში.

როგორ ხდება თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება?

დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის მეშვეობით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს: ა) მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი ერთი ან რამდენიმე დოკუმენტი, ბ) საკადასტრო აზომვითი ნახაზი, გ) დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები (პასპორტი, პირადობის მოწმობა), დ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (თუ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი არის დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებული მიწის მომიჯნავე), ე) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული

დოკუმენტი, რომლითაც დგინდება პირის სოციალურად დაუცველის სტატუსი ასი ათასზე ნაკლები ქულით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
აღნიშნული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს დედნის ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით. უფლებამოსილი კომისია განცხადებას განიხილავს 2 თვის ვადაში, მას შეუძლია ეს ვადა გაზარდოს 6 თვემდე ვადით.

რა ითვლება თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთად?
თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთად ითვლება:
ა) ფიზიკური პირის მიერ 2007 წლამდე თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობა.
ბ) მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებრეობს ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწინს ნაკვეთზე.
თუ კომისიამ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, განმცხადებელს ეგზავნება მიწის ნაკვეთის საფასურის ოდენობა და ვადა, თუ რა ვადაში უნდა მოხდეს გადახდა. თანხის სრულად გადახდის შემდეგ, კომისია გასცემს საკუთრების უფლების დამადასტურებელ მოწმობას.

ვინ თავისუფლდება საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან?
პირი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სარეიტინგო ქულა ნაკლებია ასი ათასზე, თავისუფლდება საფასურის გადახდის ვალდებულებისგან.

სახელშეკრულებო ურთიერთობები

რა არის ხელშეკრულება?

ხელშეკრულება არის ორ ან მეტ პირს შორის დადებული წერილობითი ან ზეპირი შეთანხმება. ხელშეკრულების დადებით მხარეებს წარმოეშობათ უფლებები და მოვალეობები. მხარეებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში, თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

რა სახის ხელშეკრულებები არსებობს?

ხელშეკრულება შეიძლება იყოს სასყიდლიანი ან უსასყიდლო. უსასყიდლო ხელშეკრულებისას ერთი მხარე შესრულებული მოქმედებისთვის არ იღებს არანაირ სარგებელს. უსასყიდლოა მაგალითად, ჩუქებისა და თხოვების ხელშეკრულება. სასყიდლიანი ხელშეკრულებებია: ნასყიდობის, ქირავნობის, გაცვლის, იპოთეკის, ლიზინგის, იჯარის, ნარდობის, ტურისტული მომსახურების, ტვირთის გადაზიდვის, დაზღვევის, თავდებობის, სამისდღეშიო რჩენის და სხვა.

ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო–სამართლებრივი ხელშეკრულება.

როდის ითვლება ხელშეკრულება დადებულად?

ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომელთა არ არსებობის შემთხვევაში არ მოხდებოდა ხელშეკრულების დადება ანდა პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით.

ჩუქების ხელშეკრულება და მისი სამართლებრივი შედეგები

ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებაში დასაჩუქრებულის თანხმობით.

ვინ შეიძლება იყოს ჩუქების ხელშეკრულების მხარე?

ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს მჩუქებელი და დასაჩუქრებული. დასაჩუქრებულის თანხმობა ჩუქების ხელშეკრულების დადებისთვის აუცილებელია. იგი, როგორც წესი, დასაჩუქრებულის მოქმედებიდან გამომდინარეობს - რაც საჩუქრის მიღებაში გამოიხატება. მოძრავ ნივთზე ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან. უძრავ ნივთზე - წერილობითი ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

რა შემთხვევაშია დაუშვებელი ჩუქება?

ჩუქების უფლება არ აქვს პირს, თუ ჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

როგორ ხდება ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება?

ჩუქების გაუქმება შესაძლებელია, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. ამ უფლების

განხორციელება შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს ამ გარემოებათა შესახებ. თუ ჩუქების შემდეგ, მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას შეუძლია დასაჩუქრებულს მოთხოვის გაჩუქებული ნივთი: ა) თუ ის რეალურად არსებობს და ბ) ასეთი დაბრუნება მძიმე მდგომარეობაში არ ჩააგდებს დასაჩუქრებულს.

რას გულისხმობს ქირავნობის ხელშეკრულება?
ქირავნობის ხელშეკრულებით, გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს გადასცეს სარგებლობაში ნივთი (სახლი, მანქანა და ა.შ.), დამქირავებელი კი ვალდებულია გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა.

რა ფორმით შეიძლება ქირავნობის ხელშეკრულების დადება?
მოძრავ ნივთზე ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. საცხოვრებელ სახლზე ქირავნობის ხელშეკრულება წერილობითი ფორმით უნდა გაფორმდეს.

რა პერიოდში უნდა მოხდეს ქირის გადახდა?
ქირა გადახდილ უნდა იქნეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას, თუ ქირის გადახდა დროის მონაკვეთებით განისაზღვრება, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნეს დროის ამ მონაკვეთების გასვლის შემდეგ. დამატებითი ხარჯების გადახდა მხოლოდ მაშინ არის სავალდებულო, თუ ამის თაობაზე მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება.

როგორ ხდება ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა გამქირავებლის მიერ?
გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას. ასევე გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს, თუ დამქირავებელმა ბინის ქირა არ გადაიხადა ზედიზედ სამი თვის განმავლობაში.

როდის იდება სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება?
სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მხარეები არიან მარჩენალი და სარჩენი (რომლებიც მხოლოდ ფიზიკური პირები შეიძლება იყვნენ). ის შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. მარჩენალი არის პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდის ვალდებულებას და იგი მოვალეა სარჩო გადაუხადოს სარჩენს სიცოცხლის მანძილზე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით (ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგოც უვადო - სიცოცხლის ბოლომდე ასევე გარკვეული ვადით).

რა არის სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საგანი?
ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ქონება, რომელიც არის სარჩენის საკუთრება და რომელსაც იგი ხელშეკრულებით გადასცემს მარჩენალს. თავის მხრივ, მარჩენალი ამ ქონების სანაცვლოდ იხდის სარჩოს.

როგორ განისაზღვრება სარჩოს ოდენობა?
სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. სარჩენს, მარჩენალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეუძლია იპოთეკით დატვირთოს

მარჩენალისადმი გადაცემული ქონება და დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურის სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა). მარჩენალს სარჩენის ქონებაზე, რომელიც მას ამ ხელშეკრულებით გადაეცემა, წარმოეშობა საკუთრების უფლება, მაგრამ გარკვეული შეზღუდვებით. მას არ აქვს უფლება სარჩენის სიცოცხლეში გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მარჩენალისთვის გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვა ან დაზიანება არ ათავისუფლებს მას სარჩოს გადახდისგან.

რა ვითარებაში ხდება უარის თქმა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე?
როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან ხელშეკრულებაზე, თუ მოვალეობათა დარღვევის შედეგად: ა) მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა და ბ) სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის ურთიერთობის გაგრძელებას. ასეთ შემთხვევაში, გადაცემული უძრავი ქონება უბრუნდება სარჩენს, ხოლო მარჩენალს, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, გაწეული ხარჯები არ უნაზღაურდება (თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს).
მარჩენალის გარდაცვალებისას რჩენის ვალდებულება გადადის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება. მემკვიდრის მიერ ამ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ეს ქონება სარჩენს უბრუნდება. ამ დროს ხელშეკრულება წყდება.

რა უნდა იცოდს პირმა, როდესაც სხვას თავდებში უდგება?
თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, მოვალესთან ერთად იყოს პასუხისმგებელი მოვალის ვალდებულებაზე, რომლის მოთხოვნის უფლებაც აქვს კრედიტორს. თავდებობით შეიძლება უზუნველყოფილ იქნეს ნებისმიერი ვალდებულება. ხელშეკრულების ძირითადი სუბიექტები არიან თავდები და კრედიტორი.

რა ფორმით ხდება თავდებობის ხელშეკრულების დადება?
თავდებობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. თავდებობის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა. არსებობს გამონაკლისიც - წერილობითი ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი, თუ ვინმე თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში განაცხადებს თავდებობას. თავდების პასუხისმგებლობა განისაზღვრება ხელშეკრულებაში მითითებული ზღვრული თანხის ფარგლებში. თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილებისას, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ.

რას გულისხმობს სესხის ხელშეკრულება?
სესხის ხელშეკრულებით გამსესხებლი მსესხებელს გადასცემს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია დაუბრუნოს სესხი.

რა ფორმით შეიძლება დაიდოს სესხის ხელშეკრულება?
სესხის ხელშეკრულება შეგიძლიათ დადოთ, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. უპირატესობა ენიჭება წერილობითი ფორმით დადებულ სესხის ხელშეკრულებას, ვინაიდან სასამართლოში სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა დგინდება წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე და არა მოწმეთა ჩვენებებით.

რა ვადაში შეიძლება ვალის დაბრუნება?

თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულია ვალის დაბრუნების დრო, მსესხებელი ვალდებულია ვალი დააბრუნოს ამ ვადაში. ხოლო თუ არ არის განსაზღვრული ვადა, შეუძლია ნებისმიერ დროს დააბრუნოს ვალი შეთანხმებისამებრ. მსესხებელს შეუძლია ვალი დააბრუნოს ვადამდე, თუ სესხის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს პროცენტის გადახდას. იმ შემთხვევაში, თუ გათავლისწინებულია პროცენტი, ვადამდე გადახდა შეიძლება მხოლოდ გამსესხებლის თანხმობით ან თუ ამის თაობაზე ხელშეკრულებების დადების დროს მხარეები შეთანხმდნენ.

სესხის გაცემის დაპირება, რა შემთხვევაში წარმოშობს გასესხების ვალდებულებას?
სესხის შეპირება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში, გასესხებელს არ წარმოეშობა გასესხების ვალდებულება. წერილობითი ფორმით გაფორმების შემთხვევაშიც გამსესხებლს შეუძლია უარი თქვას გასესხებაზე, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას სესხის დაბრუნებას.

რა არის მინდობილობა/რწმუნებულება?
მინდობილობა არის დავალების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელითა და მისი ხარჯით შეასრულოს მისთვის დავალებული ერთი ან რამდენიმე მოქმედება.
უქმდება თუ არა მინდობილობა/რწმუნებულება მარწმუნებლის გარდაცვალების შემთხვევაში, დავალების ხელშეკრულება არ წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან ქმედუუნარობის დადგომის გამო, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან სხვა რამ არ გამომდინარეობს მინდობილობის შინაარსიდან.
თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან მისი ქმედუუნარობის დადგომის გამო, რწმუნებული ვალდებულია, გააგრძელოს დავალებული მოქმედების შესრულება, თუ დაყოვნება მარწმუნებელს ან მის მემკვიდრეებს შეუქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს, ვიდრე მემკვიდრე ან მარწმუნებლის კანონიერი წარმომადგენელი არ მიიღებს აუცილებელ ზომებს.
იმ შემთხვევაში, თუ რწმუნებულება/მინდობილობა წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან მისი ქმედუუნარობის დადგომის გამო, მაშინ ის მაინც ჩაითვლება გაგრძელებულად რწმუნებულისათვის მანამ, სანამ რწმუნებულს არ ეცნობება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

საარჩევნო უფლებები

ვის აქვს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება?

არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლებსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდათ ან იმ დღეს უსრულდებათ 18 წელი. არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არ აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული.

დროის რა მონაკვეთში შეუძლია ამომრჩეველს ხმის მიცემა?

კენჭისყრის დღეს, ამომრჩეველს ხმის მიცემა შეუძლია დილის 08:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე.

რა პროცედურებს გადის ამომრჩეველი კენჭისყრის ოთახში შესვლისას?

ამომრჩეველი, კენჭისყრის ოთახში შესვლისას, გადის მარკირების შემოწმების პროცედურას. მარკირების პროცედურის შემდეგ, ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრმა, ამომრჩეველი კენჭისყრის ოთახში უნდა შეუშვას სარეგისტრაციო მაგიდასთან, თუ იქ არ იმყოფება ორზე მეტი ამომრჩეველი.

ამომრჩეველი მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო და ამომრჩეველთა რეგისტრატორს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი წარადგენს ასევე დევნილის მოწმობას.

რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის ყოფნის დადასტურების შემთხვევაში, ახორციელებს მარკირებას, რის შემდეგაც, ამომრჩეველთა რეგისტრატორი ხელს აწერს ამომრჩეველთა ერთიანი სიის სათანადო გრაფაში. შემდგომ კი ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის მიღებას.

რა უნდა ქნას ამომრჩეველმა ფარული კენჭისყრის კაბინაში?

ამომრჩეველი, საარჩევნო ბიულეტენის მიღების შემდეგ, შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს (აძლევს ხმას). საარჩევნო ბიულეტენის შევსების შემდეგ ამომრჩეველმა იგი ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ხმა.

რა უნდა ქნას ამომრჩეველმა ბიულეტენის შევსების შემდეგ?

ამომრჩეველი დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენით მივიდეს განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, საიდანაც დამოუკიდებლად უნდა აიღოს სპეციალური კონვერტი და მასში მოათავსოს ბიულეტენი. მხოლოდ ამომრჩეველს შეუძლია ბიულეტენის კონვერტში მოთავსება. საარჩევნო კომისიის წევრს არ აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი.

რამდენი ამომრჩეველი შეიძლება მივიდეს საარჩევნო ყუთთან?

საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.

რას ნიშნავს და რისთვის გამოიყენება მარკირება?

მარკირება ითვალისწინებს თვალით უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი ქიმიური საღებავის წასმას ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე. ამომრჩეველი მარკირებას გადის საარჩევნო უბანზე. კომისიის წევრი სპეციალური აპარატის მეშვეობით აშუქებს მარკირების ადგილს. თუ ამომრჩეველს მარკირება არ აღენიშნება, ეძლევა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, ხოლო თუ გამოვლინდა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

როგორ უნდა მისცეს ხმა ამომრჩეველმა გადასატანი ყუთის მეშვეობით?

ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე, დგება გადასატანი საარჩევნო ყუთის სია, თუ: ა) ამომრჩეველს შეზღუდული შესაძლებლობის ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა; ბ) ამომრჩეველი იმყოფება პატიმრობაში; გ) ამომრჩეველი სამკურნალოდ წევს საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი; დ) ამომრჩეველი სამხედრო მოსამსახურეა, მსახურობს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი; ე) იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას.

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე მაინც.

საერთო სასამართლოები და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები

როგორ უნდა მიმართოს დაინტერესებულმა პირმა სასამართლოს?

პირს, რომელიც თვლის, რომ დაიღვა მისი უფლებები, შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით და მოითხოვოს უფლების აღდგენა. დავის დაწყება ხდება პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

სულ არსებობს სამი ინსტანციის სასამართლო: პირველი ინსტანციის სასამართლო; სააპელაციო სასამართლო, სადაც საჩივრდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლო, სადაც საჩივრდება სააპელაციოს სასამართლოს გადაწყვეტილება.

ვინ არის მოსარჩელე და მოპასუხე?

მოსარჩელე არის პირი, რომელიც თვლის, რომ დაირღვა მისი უფლება და აქვს მოპასუხის მიმართ რაიმე მოთხოვნა. მოპასუხე არის პირი, რომელმაც მოსარჩელის მოსაზრებით, დაარღვია მისი უფლება და რომლის მიმართაც არის მიმართული მოსარჩელის მოთხოვნა. სარჩელი შეიტანება მხოლოდ წერილობითი ფორმით. მისი ფორმები და შევსების ანოტაცია დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდზე www.tcc.gov.ge

თუ მოსარჩელე გათავისუფლებული არ არის სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, სარჩელის შეტანისას, საჭიროა, სახელმწიფო ბაჟის გადახდა. გადახდის დამადასტურებელი ქვითარი თან უნდა დაერთოს სარჩელს. კანონმდებლობით გათვალისწინებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების შესაძლებლობა, გადავადება ან/და შემცირება.

სარჩელს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის გარდა, თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ კავშირშია სადოა საკითხთან, და რომელიც დაადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტებს და გაამაყარებს მის მოთხოვნა(ებ)ს.

რა ვადებია დადგენილი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის?

ა) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამასთან, თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების და შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 21 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან/და აღდგენა არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

გ) საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე და არ საჩივრდება.

რა პროცედურებია საჭირო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დასადგენად?

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა გულისხმობს, რომ სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა.

დაინტერესებულმა პირმა იურიდიული ფაქტის მნიშვნელობის დადგენის მიზნით, უნდა მიმართოს სასამართლოს განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას.
სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

რა ტიპის საქმეებს განიხილავს სასამრთლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის მიზნით?
სასამართლო განიხილავს შემდეგი ტიპის საქმეებს:
ა) პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ;
ბ) პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ;
გ) მამობის დადგენის, ქორწინების, განქორწინების, სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის ან შვილად აყვანის ფაქტების დადგენის შესახებ;
დ) უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს;
ე) მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ;

ვინ თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან ?
სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან თავისუფლდებიან:
ა) მოსარჩელეები - სარჩელებზე ალიმენტის გადახდევინების შესახებ;
ბ) მოსარჩელეები - დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე;
გ) მოსარჩელეები - დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე;
დ) მხარეები - უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე;
ე) მოსარჩელეები - არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე;
ვ) მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;
ზ) მხარეები - წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრებისას;
თ) მხარეები - არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშთან ურთიერთობის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე;

ი) მოსარჩელეები - „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის თაობაზე საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობით.

არსებობს თუ არა ბაჟისგან გათავისუფლებისთვის სხვა საფუძვლები?
სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლება შესაძლებელია თავად სასამართლოს მიერ. კერძოდ, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. ამასთან, ერთი მხარის სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლება არანაირ გავლენას არ ახდენს მეორე მხარის სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებებზე.

ვის შეუძლია დაესწაროს სასამართლო პროცესს?
სასამართლოში, ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მივიდეს სასამართლოში და დაესწროს მისთვის სასურველ სასამართლო პროცესს.
კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარის დასაბუთებული მოთხოვნის დროს, საქმის განხილვა შეიძლება მოხდეს დახურულ სხომაზე.

რა ვალდებულება ეკისრება პირს სასამართლო პროცესს დასწრებისას?
პირი, რომელიც ესწრება სასამართლო პროცესს, ვალდებულია დაიცვას წესრიგი და პატივი სცეს პროცესის მიმდინარეობას.
სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან განახორციელოს სასამართლო სხდომის აუდიოჩაწერა. აღნიშნული მოქმედების განხორციელებისას დაუშვებელია სასამართლო სხდომის დარბაზში მოძრაობა, ხმაური, შუქის ან სხვა ისეთი ემისიების გამოყოფა, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს. თუ სასამართლო სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, სასამართლო სხდომის აუდიოჩაწერა უნდა განხორციელდეს ნაფიცი მსაჯულების გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.

რა არის არბიტრაჟი?
პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს. შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ წერილობითი ფორმით შეთანხმდნენ, რომ იმ შემთხვევაში თუ მათ შორის დავა წარმოიშვება მათ შორის შეთანხმებულ კერძო ხასიათის ქონებრივ საკითხზე, მაშინ ამ დავას სასამართლოს ნაცვლად განიხილავს არბიტრაჟი.

როგორ ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება?
საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილება გამოიტანება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ. ასეთ საქმეებს განიხილავენ სააპელაციო სასამართლოები. მხარემ, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, უნდა წარადგინოს სასამართლოში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული

ასლი, ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი. გადაწყვეტილება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებაზე გამოტანილი უნდა იქნას შუამდგომლობის მიღების დღიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. განჩინება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

როგორ ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება?

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სასამართლოში საჩივრის შეტანით. ამ ტიპის საქმეებს იხილავენ სააპელაციო სასამართლოები. სასამართლო ვალდებულია განიხილოს საჩივარი და გამოიტანოს გადაწყვეტილება საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.

რა არის მედიაცია?

მედიაცია დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალებაა. მედიაცია არის მხარეების მორიგების მიზნით შექმნილი სწრაფი, იაფი და პროცედურულად მარტივი საშუალება. მედიაციის პროცესში მედიატორი დაპირისპირებულ მხარეებს ეხმარება, მათ შორის არსებული კონფლიქტის შეთანხმებით დასრულებაში. მედიატორი არ იღებს გადაწყვეტილებას, ის უბრალოდ მხარეებს უწყობს ხელს კონფლიქტის მოგვარებაში.

მედიატორი არის ნეიტრალური პირი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური სწავლება სხვადასხვა სფეროებში. მაგალითად, მედიატორი შეიძლება იყოს მოსამართლე, სასამართლოს თანამშრომელი, ან უბრალოდ პირადი გამოცდილებიდან კონფლიქტის მოგვარების უფლებამოსილი პირი.

მედიატორი არ განსაზღვრავს შეთანხმების პირობებს. მედიატორი მხოლოდ ეხმარება მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს მიაღწიონ შეთანხმებას უფრო სწრაფად და ნაკლებ დროში ვიდრე ისინი შეძლებდნენ დამოუკიდებლად.

მედიაციის მიზანია მხარეებს შორის დაპირისპირების მოგვარება და ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნება. მედიაციის პროცესი თავისუფალია. მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ მედიაციის პროცესი.

ურთიერთობა საქართველოს პარლამენტთან / საქართველოს სახალხო დამცველთან

ვის შეუძლია დაესწროს პარლამენტის სხდომებს?

პარლამენტის სხდომები შეიძლება იყოს საჯარო ან დახურილი. პარლამენტის სხდომები, გარდა დახურული სხდომებისა, მიმდინარეობს საჯაროდ. საჯარო სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ დადგენილი წესით აკრედიტირებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს. საჯარო სხდომა გადაიცემა პირდაპირი ტელე/რადიო ტრანსლაციით.
პარლამენტის სხდომას ასევე შესაძლებელია დაესწრონ:
ა) პალამენტის წევრები,
ბ) საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და უცხოელი სტუმრები, რომლებიც პლენარულ სხომებზე პარლამენტის თავმჯდომარის მიერ არის მოწვეული.
გ) საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქარტველოს მთავრობის სხვა წევრები, მათი მოადგილეები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, გენერლური აუდიტორი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი და საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილი წარმომადგენელი, სურვილის შემთხვევაში.

რა შემთხვევაში იხურება პარლამენტის სხდომა?

საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს მთავრობის სხვა წევრებს, კომტეტსა და ფრაქციას შეუძლიათ დასვან პარლამენტის პლენარული სხდომის ან მისი ნაწილის დახურულად გამოცხადების საკითხი ისეთი საკითხების განხილვისას, რომელიც საიდუმლოების დაცვას საჭიროებენ. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.
პარლამენტის დახურულ სხდომებს ესწრებიან მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირები, საკითხის განხილვისას სხდომათა დარბაზის კარები იკეტება. თითოეული დამსწრე პირი ვალდებულია დაიცვას ეთიკის ნორმები.

რა შემთხვევაში შეიძლება სახალხო დამცველისთვის მიმართვა?

პირი, რომელიც თვლის, რომ დაირღვა მისი (სხვისი) უფლებები და თავისუფლებები, შეუძლია მიმართოს სახალხო დამცველს საჩივრით ან განცხადებით. უფლებების დამრღვევი შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები, დაწესებულებები, თანამდებიობის პირები და ზოგადად იურიდიული თუ ფიზიკური პირები.
განცხადება/საჩივარი წარდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე სახალხო დამცველის სახელზე. სახალხო დამცველი ვალდებულია რეაგირება მოახდინოს განცხადებებსა და საჩივრებზე, რომელიც ეხება მის უფლებამოსილებას.
სახალხო დამცველი განიხილავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევის შესახებ მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებს, იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი სადაოდ ხდის:
ა) საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებას;
ბ) სასამართლო განხილვის პროცესში საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას ან დარღვევას;

გ) დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებების დარღვევას;
დ) ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან (საქართველოს მოქალაქეობა; ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) შესაბამისობას;
ე) რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობას.
საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს არ განიხილოს განცხადება ან საჩივარი, რომლის თაობაზეც მას მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, თუ არ არსებობს ახალი გარემოებები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განცხადების ან/და საჩივრის განხილვა არ აბრკოლებს ანალოგიური განცხადების ან/და საჩივრის განხილვას სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში.

რა ვადაში ხდება საჩივრის/განცხადების განხილვა?
სახალხო დამცველი განცხადების/საჩივრის განხილვისას არ არის დროში შეზღუდული. განხილვისთვის საჭირო დრო დამოკიდებულია მის შინაარსა და პრობლემის სირთულეზე.

გადასახადები, საშემოსავლო გადასახადის გადახდისგან გათავისუფლების საფუძვლები

რა სახის გადასახადები არსებობს საქართველოში და შეიძლება თუ არა დაწესებულისგან განსხვავებული გადასახადების დაწესება?

გადასახადი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, არის სავალდებულო და უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი. საქართველოში არსებობს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება - საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ); აქციზი; იმპორტის გადასახადი. საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების გადახდა სავალდებულოა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დაუშვებელია ისეთი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღება და ვინმესთვის დაკისრება, რომელსაც არ ითვალისწინებს თავად ხსენებული კოდექსი, ასევე დაუშვებელია გადასახადების გადახდის კოდექსით დადგენილი ვადებისაგან განსხვავებული ვადების დადგენა.

ადგილობრივი გადასახადი არის გადასახადი, რომელიც დაწესებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით და რომლის შემოღებაც, ზღვრული განაკვეთის ფარგლებში, შეუძლია ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე. ადგილობრივი გადასახადის გადახდა სავალდებულოა შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე. ასეთ გადასახადს განეკუთვნება - ქონების გადასახადი.

ვინ შეიძლება გათავისუფლდეს საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან?

საშემოსავლო გადასახადი არის გადასახადი, რომელსაც იხდის პირი/გადასახადის გადამხდელი მისი შემოსავლიდან. საშემოსავლო გადაახადის გადამხდელი არის რეზიდენტი და ასევე არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

მოქმედი კანონმდებლობით დღესდღეობით, ფიზიკური პირისათვის აღნიშნული გადასახადის განაკვეთს 20% წარმოადგენს. საშემოსავლო გადასახადის გადახდას ახორციელებს საგადასახადო აგენტი დაბეგვრის წყაროსთან დაკავებით. მაგალითად, ხელფასიდან საშემოსავლოს გადახდას ახორციელებს საგადასახადო აგენტი (დამსაქმებელი) დაბეგვრის წყაროსთან (ხელფასის გაცემისას).

რა საგადასახადო შეღავათებს ადგენს კანონი?

საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს. საგადასახადო შეღავათი წარმოადგენს გარკვეულ უპირატესობას, რომელიც ამავე კოდექსით არის დაწესებული ზოგიერთი გადასახადის გადამხდელისათვის. საგადასახადო შეღავათი ზოგ შემთხვევაში, ამცირებს გადასახადის ოდენობას, რიგ შემთხვევაში კი საერთოდ ათავისუფლებს გადამხდელს მისი გადახდის ვალდებულებისაგან.

აღსანიშნავია, რომ საგადაახადო შეღავათი მხოლოდ მაშინ არის მოქმედი, თუ ის გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით. ამასთან ადგილობრივი გადასახადისათვის საგადასახადო შეღავათი დგინდება შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანით. გადასახადების გადახდისას დაწესებული შეღავათები ვრცელდება მისი დაწესების მომენტიდან და გრძელდება მისი მოქმედების მთელს პერიოდზე.

ამასთან საგადასახადო შეღავათი არ შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ცალკეულ, კერძო პირზე/პირებზე, ის ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომელიც დააკმაყოფილებს გადასახადის გათავისუფლების პირობებს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებულია ფიზიკური პირის შემოსავლების შემდეგი სახეები:

1. არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;
2. მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, დახმარებებისა და ერთჯერადი გასაცემლების მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან ან/და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდებიდან მიღებული თანხები;
3. ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები;
4. ალიმენტი;
5. განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);
6. ფიზიკური პირის მიერ:
7. 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
8. საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
9. 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი, გარდა გამსხვისებლის მიერ აქტივების მიწოდებამდე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების ან/და კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ამასთანავე, აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებად არ ითვლება მათი 2 წლის შემდეგ მიწოდება ან/და ფასიანი ქაღალდების/წილის მხოლოდ ფლობა დივიდენდებისა და პროცენტების მიღების მიზნით;

ასევე:

10. საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება; (მოქმედი კოდექსის შესაბამისად: ქონების ჩუქებისას ან/და ანდერძით მემკვიდრეობისას I, II რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან შემდეგი პირები: I რიგის მემკვიდრეებად – მეუღლე, შვილი, ნაშვილები, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი და მისი შვილი, მშობელი და მშვილებელი; II რიგის მემკვიდრეებად – და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები)
11. საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება, გარდა დაქირავებულის მიერ დამქირავებლისაგან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებისა;
12. საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება; (მოქმედი კოდექსის შესაბამისად: ქონების ჩუქებისას ან/და ანდერძით მემკვიდრეობისას III და IV რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან შემდეგი პირები: III რიგის მემკვიდრეებად – ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც

დედის, ისე მამის მხრიდან; IV რიგის მემკვიდრეებად – ბიძა (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდა და მამიდა)

13. ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა;
14. 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს (მოცემული ჩანაწერი 2014 წლის 01 იანვრიდან იმოქმედებს შემდეგი რედაქციით: 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს);
15. პრივატიზების წესით (მათ შორის, უსასყიდლოდ), ასევე მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტების მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში ბინების უსასყიდლოდ მიღების შედეგად წარმოშობილი სარგებელი;
16. დროებითი საცხოვრებელი ადგილის სანაცვლოდ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის, იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირის მიერ პრივატიზების პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპენსაციები; ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების ღირებულება და ამ ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
17. ფიზიკური პირის (I რიგის მემკვიდრის) მიერ ჯამურად მის და მამკვიდრებლის/მჩუქებლის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
18. საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;
19. თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;
20. არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე;
21. არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;
22. სახელმწიფოს ან საქართველოს ეროვნული ბანკის სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;
23. სახელმწიფოს ან საქართველოს ეროვნული ბანკის სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი და ეროვნულ ბანკში ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი;
24. რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი (მათ შორის, სარგებელი), რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს;
25. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრებული ან/და დაინვალიდებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურისათვის ან

სამხედრო მოსამსახურისათვის, აგრეთვე დაღუპვის შემთხვევაში მათ ოჯახზე (მემკვიდრეზე) დამქირავებლის მიერ გაცემული დახმარება;

26. ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს;
27. ამხანაგობის მიერ თავისი წევრისთვის (თანამფლობელისთვის) ქონების გადაცემით მიღებული შემოსავალი, თუ ამხანაგობის წევრები მხოლოდ ფიზიკური პირები არიან, ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე და ამხანაგობა განაწილების მომენტისათვის არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ამხანაგობის წევრის გარდაცვალებისას ამხანაგობის წევრის წილის მემკვიდრეზე გადასვლა ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია არ განიხილება ამხანაგობის წევრთა შემადგენლობის ცვლილებად;
28. არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, თუ დაქირავებით მუშაობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო წლის განმავლობაში არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა და შემოსავლის (ხელფასის) გადამხდელი არის არარეზიდენტი დამქირავებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ხარჯი მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ხარჯებს, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი ამ მუდმივი დაწესებულების მიერ არის გადახდილი თუ არა;
29. საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით ამ საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, თუ საწარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების წარმოშობიდან გასულია 2 წელზე მეტი;
30. 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ, რომლის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს, აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში დაქირავებულისათვის გაცემული ანაზღაურება. (მოცემული ჩანაწერი 2014 წლის 01 იანვრიდან იმოქმედებს შემდეგი რედაქციით: 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის მიერ ამ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს);
31. აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, აგრეთვე ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული შემოსავლისა;
32. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დადგენილი წესით რეგისტრირებული პირის (რომელიც იღებს საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დასახიჩრებული პირის, ასევე ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული პირის ოჯახის წევრის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისგან უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება;
33. ადმინისტრაციული ორგანოს (დამქირავებლის) მიერ თანამშრომლისთვის (დაქირავებულისთვის) უძრავი ქონების სასყიდლით ან უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით მიღებული სარგებელი;

34. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თანამშრომლისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას პირად მფლობელობაში არსებული ავტომობილისათვის განკუთვნილი საწვავის უსასყიდლოდ გადაცემით მიღებული სარგებელი;
35. საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავდებობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თავდებობის, აგრეთვე სერვიტუტის უსასყიდლო მომსახურების გამწევის მიერ ამ მომსახურებიდან მისაღები კომპენსაცია და უსასყიდლო მომსახურების მიმღების მიერ მიღებული სარგებელი;
36. ტურისტული საწარმოს მიერ ან/და მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმრო ნომრის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 60 დღის ვადით სასტუმროს მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ გაწევის შედეგად სასტუმრო ნომრის მესაკუთრის მიერ მიღებული სარგებელი;
37. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის მიერ მიღებული შემოსავალი;
38. ფიზიკური პირის მიერ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში მყოფი პირისაგან დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი;

რომელი შემოსავალი არ იბეგრება?

მოქმედი საგადასახადო კოდექსით, კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 3 000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით შემდეგი ფიზიკური პირებისათვის:

1. ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების;
2. მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების;
3. პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართვლის დედის“ საპატიო წოდება;
4. მარტოხელა დედის;
5. პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);
6. პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი;
7. მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ერთ- ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით;
8. აღნიშნული ჩამონათვალი 2014 წლის 01 იანვრიდან შეიცვლება და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:
9. საშემოსავლო გადასახადით არ დაუბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:
10. მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების;
11. პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართვლის დედის“ საპატიო წოდება;
12. მარტოხელა დედის;

13. პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);
14. პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი;
15. მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ერთ- ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით;

რა შეღავათებია ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ?
საგადასახადო კოდექსით, ასევე, არ მოხდება საშემოსავლო გადასახადით ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავლის დაბეგვრა 6000 ლარამდე.

ერთზე მეტი საგადასახადო შეღავათის არსებობისას როგორ ხდება შეღავათის გამოყენება ?
საგადასახადო შეღავათით სარგებლობისას მნიშნელოვანია ვიცოდეთ, რომ თუ პირს საშემოსავლო გადასახადზე ერთდროულად წარმოექმნება ერთზე მეტი საგადასახადო შეღავათით სარგებლობის უფლება, მასზე არ მოხდება ყველა წარმოქმნილი შეღავათის გავრცელება, არამედ ასეთ პირზე გავრცელდება ერთი და ყველაზე მაღალი შეღავათი. იმისათვის, რომ საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირმა შეძლოს მისთვის დადგენილი შეღავათით სარგებლობა, საჭიროა დაქირავებულმა პირმა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით წარუდგინოს დამქირავებელს საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შესახებ.

„დაუბეგრავი მინიმუმი“

რას ნიშნავს „დაუბეგრავი მინიმუმი“?

დაუბეგრავი მინიმუმი, გარკვეულწილად, სიახლეს წარმოადგენს საგადასახადო კანონმდებლობაში, რომელიც ამოქმედდა 2013 წლის 01 იანვრიდან და პრაქტიკული შედეგების დადგომას დაიწყებს მიმდინარე წლის ბოლოს. „დაუბეგრავი მინიმუმის“ მუხლით გათვალისწინებულია, რომ ფიზიკური პირი, რომლის ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6 000 ლარს, შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს, წარუდგინოს მას დეკლარაცია და ამ შემოსავლიდან გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი - 1 800 ლარი. ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან „დაუბეგრავი მინიმუმის“ გამოქვითვის და თანხის დაბრუნების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს სამინისტროები

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - ჭანტურიას ქ. #12, ტელ: 299 11 05; 299 11 11. www.economy.gov.ge
2. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო - სანაპიროს ქ. #2, ტელ: 235 78 00; 235 78 04. www.energy.gov.ge
3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის სამინისტრო - ალ. ყაზბეგის ქ. # 12, ტელ: 251 05 91; 251 06 98. www.mrdi.gov.ge
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ვახტანგ გორგასლის ქ. #16, ტელ: 226 14 44. www.mof.ge
5. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - დიმიტრი უზნაძის ქ. #52, ტელ: 220 0220. www.mes.gov.ge
6. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო - ჩოლოყაშვილის ქ. #9, ტელ: 235 09 97; 223 02 03. www.msy.gov.ge
7. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო - გულუას ქ. #6, ტელ: 272 72 34. www.moe.gov.ge
8. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - გენერალ კვინიტაძის ქ. #20, ტელ: 272 35 35. www.mod.gov.ge
9. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - გორგასლის ქ. #24, ტელ: 240 52 02. www.justice.gov.ge
10. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო - სანაპიროს ქ. #4, ტელ: 293 22 55. www.mcs.gov.ge
11. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო - თამარაშვილის ქ. #15ა, ტელ: 231 15 98. www.mra.gov.ge
12. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - ჩიტაძის ქ. #4, ტელ: 294 50 00. www.mfa.gov.ge
13. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო - მარშალ გელოვანის ქ. #6, ტელ: 237 80 13; 237 80 09. www.moa.gov.ge
14. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - კაზეთის გზატკეცილი 38-ე კმ. ტელ: 274 62 50. www.police.ge
15. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - ა. წერეთლის გამზ. #114, ტელ: 251 00 12. www.moh.gov.ge
16. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო - ალ. ყაზბეგის გამზ. #42, ტელ: 231 27 34. www.mcla.gov.ge
17. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკულ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში - ინგოოყვას ქ. #7, ტელ: 293 28 67. www.eu-nato.gov.ge
18. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეინტეგრაციის საკითხებში - ინგოროყვას ქ. #7, ტელ: 298 92 56. www.smr.gov.ge
19. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი დიასპორის საკითხებში - ინგოროყვას ქ. #7, ტელ: 218 13 70. www.diaspora.gov.ge

საქართველოს პარლამენტი

1. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის ქ. #26; 4600, ტელ: 032 228 90 06. www.parliament.ge

საქართველოს სასამართლოები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო – ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქუჩა 8/10 / მ. აბაშიძის ქუჩა 16/18; ტელ.: +995 422–27–00–99; ფაქსი: +995 422–27–01–44; ელ.ფოსტა const@constcourt.ge
2. საქართველოს უზენაესი სასამართლო - ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #32, 0108, ტელ: 299 65 46,www.supremecourt.ge
3. თბილისის სააპელაციო სასამართლო - ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. #7ა, 0159, ტელ: 251 85 21, www.court.ge
4. თბილისის საქალაქო სასამართლო - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6, 0131, ტელ: 251 02 42. www.tcc.gov.ge
5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო - ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქ. #32, 4600, ტელ: 225 61 08. www.court.gov.ge

წყარო:

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
- საქართველოს შრომის კოდექსი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- საქართველოს საარჩევნო კოდექსი
- საქართველოს კანონი "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" .
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ"
- საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ"
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ"
- საქართველოს პარლამენტის ლეგლამენტი
- საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულება
- საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულება
- „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში" თბილისი 2013 წ. (დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი) http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf
- www.ssa.gov.ge
- http://www.tbilisi.gov.ge/
- www.psh.gov.ge/
- www.police.ge
- www.house.gov.ge
- http://www.cesko.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1

„ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ მნიშვნელოვანია თქვენი აზრი
წარმოდგენილი გზამკვლევის მიმართ.

თუკი გსურთ მიიღოთ და გაეცნოთ კვლევის
ელექტრონულ ვერსიას ან/და ორგანიზაციის საქმიანობას, გთხოვთ ორგანიზაციას
დაუკავშირდეთ ელექტრონულ მისამართზე:
pryoungbarristers@yahoo.com ან www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi